საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მარიამ პატარაია

ზნეობრივი აღზრდის ასპექტები

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში

ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **ნოდარ ბასილაძე**

ხიჭაური – 2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეხება ქართველი ხალხის გამორჩეულ შვილს, დიდ განმანათლებელსა და პედაგოგს, ქართული პედაგოგური აზროვნების ფუძემდ-ებელს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ სულისჩამდგმელსა და მოამაგეს იაკობ გოგებაშვილს.

იაკობ გოგებაშვილი მთელი ენერგიით თავდაუზოგავად იბრძოდა ისეთი განათლების სისტემის შესაქმნელად, რომელიც ქვეყანას გამოუზრდიდა ახალი ტიპის ქართველს, რომელიც აღჭურვილი იქნება მაღალი ცოდნითა და მორალურ-ზნეობრივი პრინციპებით, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოლებს ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის.

ზნეობრივ აღზრდას უდიდესი როლი აქვს პიროვნების ყოვლმხრივი, ჰარმონიული განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესში, რამეთუ მოზარდი თაობის მაღალზნეობრივი აღზრდა, როგორც სულიერი სიჯანსაღისა და სიწმინდის წინა-პირობაა.

სამრიგად, ნაშრომში სათანადო სამეცნიერო და პედაგოგიურ ლიტერა-ტურაზე დაყრდნობით შევეცადე წარმომედგინა დიდი მოაზროვნის პედაგოგიური იდეები აღზრდის, სწავლებისა და განათლების კუთხით, ვინაიდან ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებაში ეს იდეალებია განმსაზღველი და მამოძრეველი ძალა.

ვფიქრობ , წარმოდგენილ ნაშრომს თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად, ექნება გარკვეული პრაქტკული ღირებულებაც ამ საკითხით დაინტერესებული პირ-ებისათვის, ვისთვისაც სულერთი როდია, როგორი თაობა გვეყოლება ხვალ.

Annotation

The study is about one of the most outstanding public figure of Georgia Iakob Gogebashvili. Great educator and teacher, founder of Georgian pedagogical thinking, Iakob Gogebashvili was one of the activists of the National-Liberation Movement.

Iakob Gogebashvili devoted his entire life to create a new education system. His aim was Georgian people to develop critical thinking, moral-principle. Also, fight for a better country to live and get a good quality education.

Moral upbringing has a major impact on formation of individuals as bringing up new generation includes spiritual health.

Therefore, based on the relevant work of scientific and pedagogic literature , I tried to present pedagogical approach of the great thinker in the field of teaching and upbringing . as these items are the main principles of Gogebashvili's pedagogical study.

I think that the present work together with theoretical significance will have a certain practical value for those interested in this issue to bring up a new generation in the future.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....5

1. აღზრდის წარმოშობა და განვითარება 6

2. ზნეობრივი აღზრდის ადაგილი აღზრდის საერტო სისტემაში.....29

3. ზნეობრივი აღზრდის იდეა კლასიკოს პედაგოგთა მემკვიდრეობაში, მისი მიზანი და ამოცანები.....41

4. ზნეობრივი აღზრდის იდეა ი. გოგებაშვილის შემოქმედებაში 55

5. ზნეობრივი აღზრდის ძირითადი გზები და საშუალებები 70

6. დასკვნები.....74

7. გამოყენებული ლიტერატურა..... 78

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ქართველი ხალხის გამორჩეულ შვილს, დიდ განმანათლებელსა და პედაგოგს, ქართული პედაგოგური აზროვნების ფუძემ-დებელს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ სულისჩამდგმე-ლსა და მოამაგეს იაკობ გოგებაშვილს.

ჩემთვის დიდი პატივია, თანაც დიდი პასუხისმგებლობაა ვწერო ამ ბუმბერაზი მოღვაწის შესახებ, გამოვხატო პირადი სიმპათია და დამოკიდებულება მისი ნააზრევის , შეხედულებების მიმართ. ზოგადად და განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო ი.გოგებაშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე და დამსახურებაზე მომავალი თაობის ზნეორივ- მორალური აღზრდის თვალსაზრისით.

ნაშრომში სათანადო სამეცნიერო და პედაგოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შევეცადე წარმომედგინა დიდი მოაზროვნის პედაგოგიური იდეები აღზრდის, სწავლებისა და განათლების კუთხით, ვინაიდან ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებაში ეს იდეალებია განმსაზღველი და მამოძრეველი ძალა, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობისა და ქართული სახელმწიფოს განვითარების გარანტი.

მიმაჩნია, რომ წარმოდგენილ ნაშრომს თეორიულ მნიშვნელობასთან ერთ-ად, ექნება გარკვეული პრაქტკული ღირებულებაც ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის, ვისთვისაც სულერთი როდია, როგორი თაობა გვეყოლება ხვალ,

რომელმაც სიამაყით უნდა გააგრძელოს სახელოვან წინაპართა სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა.

1. აღზრდის წარმოშობა და განვითარება.

აღზრდა, როგორც ადამიანის პიროვნული განვითარება, სოციალური მოვლენაა და ის კაცობრიობის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა და მის კონტექსტში ვითარდებოდა . ადამიანი, როგორც ბიოსოციალური არსება, როგორც ბუნების შვილი თანდაყოლილად ფლობს გარკვეულ სენსმოტორულ თვისებებს, მაგრამ აღზრდის, როგორც ადამიანთა შორის ჩამოყალიბებული ქცევის ნორმების ერთობლიობის წარმოშობა ისტორიული განვითარების პროცესია. რომელიც ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ ეპოქაში იღებს სათავეს. აღზრდა გულისხმობს ბავშვსა და მოზარდში პიროვნების ისეთი თვისებების ჩამოყალიბების ერთიან პროცესს, როგორიცაა მსოფლმხედველობა, ზნეობა, მორალი, შრომისმოყვარეობა, სამშობლოსა და ერის სიყვარული. წარსულის პატივისცემა, სინდისი, პატიოსნება და ა.შ. აქედან გამომდინარე, აღზრდა, როგორც სოციალური მოვლენა, ადამიანთა პიროვნული განვითარების საჭიროების შედეგად გაჩნდა და მის ცხოვრებისუნარიანობას განაპირობებდა, თუმცა ცოდნის დაგროვებამ და გაღრმავებამ საზოგადოებაში ცოდნის კულტუროლოგიური ფუნქციების შექმნაც განაპირობა, რამაც რადიკალურად შეცვალა წარმოდგენა

ადამიანზე და ზოგადად გარემომცველ სამყაროსა და საზოგადოებაზე. (ნ. ბასილაძე 2013: 14)

სამეცნიერო და პედაგოგიურ ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებული ჭეშმარიტებაა, რომ აღზრდა- განათლების შინაარსი ისტორიულ ხასიათს ატარებს და ის იცვლებოდა ცხოვრებისეული მოთხოვნების, წარმოებისა და მეცნიერული ცოდნის განვითარებასთან ერთად. შესაბამისად საზოგადოებისა და ქვეყნის მომავალი განათლებული, კარგად გავითარებული უნარ-ჩვევების, ეპოქის მოთხოვნების თანმხვედრი ღირებულების მატარებელი მქონე თაობის აღზრდაშია. ღირებულებები და ფასეულობები კი დროთა განმავლობაში იცვლება. ამის კვალობაზე იცვლება აღზრდის მოთხოვნები და აღზრდის სისტემებიც. ამ კონცეფციიდან გამომდინარე, ბუნებრივია იბადება არაერთი საინტერესო კითხვა, რომელიც მოითხოვს ჯეროვან გაანალიზებას და პასუხის გაცემას:

როგორი იყო აღზრდის როლი და დანიშნულება, ზოგადად პედაგოგუირი იდეალები სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში?

როგორ ხდებოდა მათი კონკრეტული განხორციელება?

რაში გამოიხატებოდა საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები აღზრდის სისტემაში?

რას უდა ველოდოთ მომავალში?

ამიტომ საჭიროდ ვთვლი მოკლედ გადავავლოთ თვალი ისტორიულ წარსულში არსებულ აღზრდის სისტემებს, რათა მისგან მიღებული გამოცდ-ილების გათვალისწინებით, უკეთ დაგეგმოთ და დავინახოთ მომავლის ორიენტ-ირებები აღზრდის სისტების განვითარების თვალსაზრით.

უდა აღინიშნოს, რომ საკითხის შესწავლას ადამიანთა თანაცხოვრების პირველი ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბების პერიოდში გადავყავართ. ამ დროს პირველყოფილ საზოგადოებაში, შრომის დანაწილებისა და ემპირიული ცოდნის გაფართოების კვალობაზე გართულდა სწავლების შინაარსი და ბავშვის აღზრდაც,რამაც აღზრდის სისტემური ფორმების ჩამოყალიბება განაპირობა,

რომლის ჩანასახოვან სტრუქტურებს ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებაში ვხედავთ, თუმცა აღზრდის სისტემას, როგორც ორგანიზაცუიულ ფორმას გამოკვეთილი სახე ანტიკურ სამყაროში ჩაეყარა საფუძველი. ამ დროისთვის სწავლა-აღზრდის ორი მოდელი არსებობდა: სპარტანული, ორიენტირებული ადამიანის სამხედრო- ფიზიკურ აღზრდაზე და ათენური, ორიენტირებული ადამიანის ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაზე სლოგანით ,, ადამინში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს (გარეგნობა, გონება და სულიერი, შინაგანი სამყარო) სწავლა-აღზრდის პრობლემების შესახებ მნინელოვანი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს. მოკლედ შევეხები ზოგიერთს, ჩემი აზრით ყველაზე საყურადღებო და საგულისხმო იდეებს.

ცნობილ ფილოსოფოსს დემოკრიტეს ეკუთვნის იდეა აღზრდის მეთოდების ბავშვის ბუნებასთან შესაბამისობის აუცილებლობის შესახებ, რომელიც თანამედროვე - სწავლა-სწავლების პროცესის, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ქვაკუთხედია.

არისტოტელეს აზრით სახელმწიფოს უნდა გაეწია კონტროლი მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისათვის, უნდა მოემზადებინა ახალგაზრდა სამოქალაქო საზოგადოებაში (პოლისში) ინტეგრირებისათვის, რისთვისაც ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოზარდი თაობის გონებრივ განვითარებაზე, აზროვნების განვითარებაზე (ზოგადზე)

ამახვილებდა ყურადღებას. (მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროგრამა ,, დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ , თბილისი 2012 წ, გვ.7)

სოკრატე პირველი ბერძენი ფილოსოფოსი იყო, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მომავალი თაობის ზნეობრივი აღზრდის საკითხებს. მისი აზრით, აღზრდა ეს არის ყოფაქცევის ჩვევები, რომლებსაც იძლევა ოჯახი, სკოლა, გარემო. ის ხაზს უსვამდა, იმ გარემოებას, რომ შემეცნება, თვითშემეცნება, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი, უნდა ემსახურებოდეს ზნეობის განვითარებას, სიკეთე ,სათნოება ცოდნაა, მცოდნე ბოროტებას არ ჩაიდენს,

ამიტომ სოკრატეს აზრით, ჭეშმარიტი ცოდნის მიღებით არა მარტო თვითშემეცნებას ვაღწევთ, არამედ იგი, ზნეობის სათავეცაა.

სოკრატეს ასევე ეკუთვის სწავლების ისეთი მნივნელოვანი მიდგომის დანერგვა, როგორიცაა აღმოჩენითი, პრობლემური სწავლების მეთოდის დანერგვა, რომელიც დღესაც წარმოადგენს სწავლების ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართ-ულებას.

სოკრატე აფასებდა ახალგაზრდებს, როგორც თანამოსაუბრეებს, განსაკუთრე-ბით მათ, ვინც გამორჩეულ ცნობისმოყვარეობასა და ცოდნას ამჟღავნებდა. ის ახალგაზრდებს უკეთურებისაგან განარიდებდა და უნერგავდა მაღალ ზნეობას: სიკეთეს, პატიოსნებას, სამართლიანობას, თავდაჭერილობას, მას ნაბიჯ-ნაბიჯ, საუბარში ჩართვით, კითხვა-პასუხით მიჰყავდა მოსაუბრე სწორ, ჭეშმარიტ პასუხამდე (პედაგოგიკის ისტორია 2004;24)

უაღრესად ანგარიშგასაწევი მოსაზრებები ბავშვის გავითარებაზე და აღზრდაზე აქვს გამოთქმული დიდ ფილოსოფოსს პლატონს. სიკრატეს მსაგავსად, ისიც მამაცურად ჩაება აღზრდა -განათლების ირგვლივ გაჩარებულ იდეურ პაექრობაში და მალე მთლიანად დაეპატრონა მის სადავეებს. აქედან გამომდინარე, მისი ფილოსოფია ,,პაიდეია“ ადამიანის აღზრდის ჭრილშია განხილული. პლატონმა განათლების უმაღლეს ფორმად ფილოსოფია და შემეცნება მიიჩნია და ამით ცხოვრებასა და მეცნიერებას დაკარგული ერთიანობა დაუბრუნა .

პლატონის ყველა ნაწარმოები ზნეობრიობისაკენ, სათნოებისაკენ მიმავალი გზის ძიებაა, ამას ადასტურებს მისი თხზულებები ,, სახელმწიფო“, ,,კანონები“. ამ და სხვა ნაწარმოებებში პლატონი გთავაზობს აღზრდისა და სახელმწიფო მმარვ-ელობის, პედაგოგიკისა და პოლიტიკის ერთიანობის იდეას. აქედან გამომდ-ინარეობს მისი ფუნდამენტალური დებულება - ფილოსოფოსების მიერ სახელმ-წიფოს მართვის შესახებ.

ჩვენი აზრით ამ იდეიდან გამომდინარეობს პლატონის თვალსაზრისი იმის შესა-ხებ, რომ აღზრდა პოლიტიკური ხასიათისაა და მიზნად შეგნებული მოქალაქის

ფორმირებას ისახავს, რომელსაც კარგად ეცოდინება თავისი უფლება-მოვალეობანი შესაბამისად მოქმედების უნარი ექნება.

როგორც ცნობილია, აღორძინება ანუ რენესანსი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქაა, გარდამტეხი ეტაპია მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში და ბუნებ-რივია,

რომ ამ ეპოქაში ჩამოყალიბდა სწავლებისა და აღზრდის ეპოქისათვის შესაბამისი მიდგომები და შეხედულებები. აღორძინების ეპოქის იდეალი - ჰუმანიზმი , არის

მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც უმაღლეს ღირებულებად ადამიანი იქნა აღიარებული, თავისი რეალური ცხოვრებით, გრძნობებით და ემოციებით. ჰუმანიზმის

იდეებმა განსაკუთრებით მკაფიო და სრული ხორცშესხმა ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის იდეაში, თავისი ამოუწურავი, განუსაზღვრელი სულიერი და შემოქმედებითი შესაძლებლობებით.

(პედაგოგიკის ისტორია 2004; 35) ეპოქის ზოგადი სურათიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აღორძინებამ სამყაროს ცენტრში დააყენა ადამიანი, წინა პლანზე წამოსწია ეპოქის იდეალი რაინდის--- სხვადასხვა უნარ-ჩვევების, მდიდარი კულტურის, დიდი ზნეობრივი ღირებულებების მქონე ადამიანის აღზრდაა, რომელმაც სრულყოფილი სახე განმანათლებლობის პერიოდში მიიღო.

გასაანალიზებელი პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე მოკლედ მინდა შევეხო აღზრდა- განათლების სისტემას ძველ საქართველოში, ვინადან ჩვენი მდიდარი ისტორია შეიცავს მეტად საყურადღებო ნიუანსებს არა მხოლოდ განათლების განვითარების კუთხით, არამედ სწავლებისა და აღზრდის მეთოდების თვალსაზრისითაც.აკადემიკოსი ნ. ვასაძე ამბობს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ II ათასწლეულიდან უნდა იყოს დამწერლობის სისტემა შექმნილი, ვინაიდან ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით, ქართველებს უხსოვარი დროიდან უნდა ჰქონოდათ საკუთარი დამწერლობა,

რადგან ოქროს მოპოვების წესი ტყავზე ნაწერ წიგნებში გადმოუციათ. ლეონტი მროველის (XI საუკუნე) ცნობის მიხედვით, ფარნავაზ მეფემ ძვ.წ.აღ-ის მესამე

საუკუნეში ,, განავრცო ენა ქართული“ და ,,შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (პედაგოგიკს ისტორია 2004 : 22). ისტორიული ფაქტია, რომ კოლხეთში, ფაზისის (დღევანდელი ფოთის) მახლობლად, არსებობდა უმაღლესი რიტორიკული სკოლა, რომელშიც არა მხოლოდ ქართველები სწავლობდნენ, არამედ შორეული საბერძნეთიდანაც ჩამოდიოდნენ განათლების მისაღებად, რაც მისი იმიჯისა და ცნობადობის მაღალი მაჩვენებელია.

მინდა აღვნიშნო, რომ ბიზანტიის მსგავსად, საქართველოშიც ისწავლებოდა ის მეცნიერებები, რასაც ბიზანტიის უმაღლეს ფილოსოფიურ სკოლებში გადიოდნენ. ეს იყო ე.წ. შვიდი მიმართულება-- მათემატიკა, ასტრონომია, ლიტერატურა, ფილოსოფია, სამართალი, მუსიკა. ყურადღება ძირითადად გამახვილებული იყო რიტორიკული ხელოვნების დაუფლებაზე. აკადემიკოს შ. ნუცუბიძის შეხედულებით, კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა კოლხურ-ბერძნული სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობების ნიადაგზეა შექმნილი. ,, იგი სასამართლოს მოღვაწეებს-- დამცველებსა და ბრალმდებლებს ამზადებდა“ (შ. ნუცუბიძე 1956: 91). ამ მოღვაწეთაგან ცნობილი არიან ფილოსოფოსები და ორატორები, მამა-შვილი ევგენიოსი და თემისტოსი.

აქვე დავადასტურებ, რომ სწავლა-აღზრდის სისტემა საქართველოში იმთავითვე კოპლექსურ ხასიათს ატარებდა და გულისხმობდა პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ, განვითარებას. სულხან - საბასეული უფლისწული აღზრდის სისტემა ამის თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ VII საუკუნემდე საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი საქმიანობაში უმეტესად სასულიერო პირები იყვნენ ჩართული და სწავლა-აღზრდაც, ძირითადად სასულიერო-რელიგიურ ხასიათს ატარებდა, შემდგომ ამ საქმეში საერო პირები ჩაერთვნენ. როგორც პროფესორო გ.თავზიშვილი წერს ,, ბავშვებს ასწავლიდნენ ქართლისა და კახეთის ყველა ეპარქიაში, წერა-კითხვასა და გალობას და მოწაფეებს თავიანთ ოჯახეში ინახავენ.“ (გ.თავზიშვილი 1960:34)

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში სამეფო-სახელმწიფო სასწავლებლები არსდება და სწავლა-აღზრდაც ორგანიზაციულ ხასიათს იღებს. ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო ერეკლე მეორე. მას ხელი შეუწყო ანტონ I კათალიკოსმა. ანტონ კათალიკოსი თვითონ გაეცნო არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, შეისწავლა საგანმანათლებლო საქმე, სასწავლო პროგრამები და სწავლების პრინციპები. პირველი სემინარია თბილისში 1755 წელს გაიხსნა, ხოლო მეორე 1782 წელს თელავში.აქ ისწავლებოდა ლოგიკა, რიტორიკა, ფიზიკა და ბუნებისმეტყველების სხვა საგნები.

უამრავ პედაგოგიურ იდეებს ვპოულობთ, წერს გ.თავზიშვილი პეტრე იბერის, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნოკო ნიკოლაძისა და სხვათა ნააზრევებში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას. ილია ჭავჭავაძემ XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმა-თავისუფლებელი მოძრაობის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად ფასდაუდებელი ამაგი დასდო პედაგოგიკის მეცნიერების განვითარებასა და ჩამოყალიბებას საქართველოში. პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების დეფინიცია პირველად ილია ჭავჭავაძემ მოგვცა: ,, პედაგოგიკა ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს ყმაწვილების აღზრდას, მეცნიერებას ყმაწვილის აღზრდაზედ... არსებობს მეცნიერება --პედაგოგიკა, რომლის საგანი არის ყმაწვილების აღზრდა“ (მ.გაფრინდაშვილი 1959:36).

ილია ავჭავაძის აზრით, აღზრდამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდის მომზადება ცხოვრებისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. აღზრდამ უნდა განავითაროს ბავშვის სულიერი და ფიზიკური ძალები, შეათანხმოს ისინი ერთმანეთთან ჰარმონიულად. ბავშვის აღზრდაში ის დიდ როლს ანიჭებდა იმ გარემოს, რომელშიც მოზარდს უხდებოდა განვითარება. ,, იმ წრეს, სადაც ბავშვი პირველი ხანიდანვე ტრიალებს - წერდა ილია - დიდი გავლენა აქვს ადამიანის მერმისზედა.“ (ჭავჭავაძე 1938:30).

მინდა ცალკე, მოკლედ შევეხო ილიას შეხედულებებს აღმზრდელობითი სწავლების შესახებ. იგი სავსებით სწორად მიუთითებდა, რომ სწავლება და აღზრდა (,, წურთვნა“) არ არის ,, იგივეობრივი ცნებები“, ,, წვრთნა სხვაა და სწავლა სხვა -წერს ილია. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა კი - გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე“ (ჭავჭავაძე 1938: 30).

ილიას აზრით, განათლების მისაღებად აღზრდასა და სწავლების ერთმანეთთან დაკავშირებაა საჭირო, მაგრამ, თუ ეს ვერ მოხერხდა, ისევ ,, გონებაგაუხსნელი კაცი სჯობს ზნეობა უწვრთნელსაო.“ რა ბრძული იდეაა, რომელშიც ცხადად გამოსჭვივის არამარტო გენიალური ილიას შორსმჭვრეტელობა, არმედ პიროვნების აღზრდის როლი და გადმწყვეტი მნიშვნელობა საზოგადოების წინსვლისა და უკეთესი მერმისისათვის, ამიტომაა, რომ ილიას პედაგოგიური იდეები დღესაც საინტერესო და აქტუალურია. ამიტომ ამ იდეების შესწვლას და გათვალისწინებას დიდი თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება აქვს. აკაკი წერეთელი, გამოჩენილი გამოჩენილი სამოციანელი და ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ახალგაზრდების სწავლებისა და აღზრდის ხალხურობის პრინციპზე დაფუძნებას დიდ ყურადღებას აქცევდა. ,, სწავლებისა და განათლების შინაარსი აღებული უნდა იყოს ხალხის ყოფაცხოვრებიდან და, რაც მთავარია, სწავლება მშობლიურ ენაზე უნდა წარიმართოს“. ასეთია აკაკის პედაგოგიური კრედო. (გ.თავზიშვილი 1960: 54)

დიდ მოთხოვნებს უყენებდა აკაკი წერეთელი მასწავლებელს, აღმზრდელს. ამ პრობლემას მან ცნობილი პოემა ,, გამზრდელი“ მიუძღვნა, რომელშიც წარმოაჩინა აღმზრდელის მაღალი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი იდეალი, მოვალეობა.

,,ახალგაზრდის გულის გატაცებას ბევრი არა უნდა რა და ამიტომაც, თუ მოძღვარ-მოწაფე ვერ შეთვისებულან, ბრალი ყოველთვის პირველს უნდა დაედვას.“ აღნიშნავდა დიდი მოაზროვნე, საიდანაც გამომდინარეობს ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ აკაკი მოითხოვს აღმზრდელისაგან ბავშვის ბუნების, მისი ინდივიდუალობის საფუძვლიან შესწავლასა და სწავლა-აღზრდაში პრაქტიკულ

გამოყენებას. მეტად საგულისხმოა რომ თანამედროვე საგანმათათლებლო სისტემა არათუ იზიარებს ამ შეხედულებას სწავლების შესახებ, არამედ მთლიანად ეყრდნობა თანამშრომლობითი სწავლების კონცეფციას ჰუმანისტური და კონსტრუქტივისტული მოდელების საფუძველზე. პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების იდეა პედაგოგიკაშიაღზრდა, ზოგადი გაგებით, არის ჰარმონიულად განვითარებული, განათლებული, მორალურად სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების, ფორმირების რთული სოციალური, მიზნმიმართული და ორგანიზებული პროცესი მასწავლებლის ხელმძღვანელობით. აღზრდის, როგორც სოციალური პროცესის ეს დეფინიცია განსაზღვრავს იმ ნიშან-თვისებებს, რომელიც აღზრდის პრცესისათვის არსებითია და გამოხატავს აღზრდის რაობასა და შინაარსს.აღზრდა, როგორც მიზანმიმართული სოციალური პროცესი გულისხმობს მოზარდში პიროვნების ისეთ თვისებების ჩამოყალიბების ერთიან პროცესს, როგორიცაა მსოფლმხედველობა, ზნეობა, შრომისმოყვარეობა, სამშობლოსა და ერის სიყვარული, სინდისი, პატიოსნება და სხვ.

პიროვნების ჰარმონიული აღზრდა ძირითადად მოიცავს ხუთ შემადგენელ ნაწილს: მოზარდის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური და შრომითი აღზრდა. აღზრდის თითოეული შემადგენელი ნაწილი ემსახურება არა მხოლოდ ადამიანის რომელიმე სპეციფიკური მხარის, არამედ მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბებას, მის შესაძლებლობათა მრავალმხრივ განვითარებას, შეგნებული და აქტიური მოქალაქის მომზადებას.

საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელია ახალი თაობის აღზრდა. ამიტომ აღზრდის შინაარსი ყოველთვის იყო ცხოვრების მოთხოვნებით ნაკარნახევი და განპირობებული: ანტიკური ეპოქისა თუ აღორძინების, რეფორმაციისა და განმანათლებლობის ეპოქებმა მოითხოვეს აღზრდა -განათლების შესაბამისი სისტემა, რომლის ხერხემალსაც ამ პერიოდების თვალსაჩინო მოაზროვნეების აზრით, მომავალი თაობის ყოველმხრივი, ჰარონიული განვითარება წარმადგენდა, ხოლო ამ უკანასკნელის ერთიან ჯაჭვში წამყვანი ადგილი მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას ეჭირა. მოზარდის გონებრივი განვითარების შესახებ არსებულ

უამრავ შეხედულებათა შორის გადავწყვიტე განსაკუთრებული ყურადრება შემეჩერებინა ორი დიდი ქართველი მოაზროვნის ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის შეხედულებებზე ამ თვალსაზრისით, მით უმეტეს, რომ ჩემი სამაგიტრო ნაშრომი გამსჭვალულია დიდი იაკობის იდეების სულისკვეთებით.ილია ჭავჭავაძე - ეროვნულ-განმართავისუფლებელი ბრძოლის ლიდერი, მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში სათავეში ედგა ქართველი ხალხის, ჩვენი ქვეყნის საზოგადოერივ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას. უაღრესად ფართო იყო ილიას მოღვაწეობის ასპარეზი, ის იყო სულისჩამდგმელი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, მისი თავჯდომარე მრავალი წლის განმავლობაში, ის ამასთან ერთად იყო ქართული დემოკრატიული პედაგოგიური მეცნიერების ერთ-ერთ- ფუძემდებელი და ქართული ნაციონალური, სახალხო სკოლის ჩამოყალიბების ორგანიზატორი იაკობ გოგებაშვილთან ერთად. ილიას უშუალო ინიციატივითა და უზარმაზარი ძალისხმევით გაიხსნა პირველი ქართული სკოლა აჭარაში 1881 წელის 23 მარტს. (ვ. წულუკიძე, 1982: 15)

ილია ჭავჭავაძე მოწინავე მოწინავე ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომ-ადგენლებთან ერთად თავგამოდებით იბრძოდა მოზარდი თაობის მშობლიურ ენაზე სწავლების ჭეშმარიტი პედაგოგიური იდეის განხორციელებისათვის. ის დაუნდობლად აკრიტიკებდა ყველა იმას, ვინც სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას უარყოფდა, ააშკარავებდა და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მათ ავანტურისტულ ზრახვებსა და ხრიკებს. ეს შეურიგებელი ბრძოლა, გარდა იმისა, რომ წმინდა პედაგოგიური მოსაზრებით იყო გამართლებული, ამასთან ერთად ერის ბურჯის-- ქართული ენის დაცვის დიად საქმეს ემსახურებოდა.

ილია თავგამოდებით იბრძოდა მთელი განათლების სისტემის, განსაკუთრებით კი დაწყებითი სკოლების ქსელის გაფართოებისა და ცოდნის, რაც შეიძლება უფრო ფართო მასებში გავრცელებისთვის, რაც ბუნებრივია იქნებოდა ქარველი ხალხის შეგნებისა ეროვნული ცნობიერების ამაღლების მძლავრი საშუალება.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ილია ჭავჭავაძე სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმეში არსებული ნაკლოვანებების მხოლოდ კრიტიკით როდი შემოიფარგლებოდა. იგი ჭეშმარიტ, დემოკრატიულ, მეცნიერულ-პედაგოგიურ საფუძველზე დაყრნობით არკვევდა აღზრდა-სწავლების უმთავრეს პრობლემას. ის არ კმაყოფილდებოდა ადამიანის ცალმხვრივი განვითარებით და ყველანაირად მხარს უჭერდა მოზარდის ყოველმხრივი , ჰარმონიული აღზრდა-განვითარების იდეას. მისი აზრით სკოლებში ადამიანი უნდა იწრთობოდეს გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი მათგანი არ შეეწიროს მეორეს. (ი.ჭავჭავაძე 1987:75)

ილიას აზრით სკოლამ მოზარდს უნდა მისცეს შეგნებული, გააზრებული მეცნიერული ცოდნა, მეცნიერულ ცოდნასთან ერთად ბავშვს უდა გამოუმუშავდეს დაკვირვების, განსჯისა და აზროვნების უნარი, რაც პირდაპირ კავშირშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე მოთხოვნებთან.

ახალგაზრდობის აღზრდა -განათლებას იაკობ გოგებაშვილი უდიდეს სახემწიფოებრივ საქმედ თვლიდა. იაკობს სავსებით მართებულად მიაჩნდა, რომ ახალი თაობის მეცნიერულ აღზრდაზე არის დამოკიდებული ყოველი ერის წარმატება, მისი ხვალინდელი დღის მომავალი.

აღზრდა- განათლების ზოგად საქმედ იაკობ გოგებასვილს მიაჩნდა ადამიანის ყოვემხრივი, ჰარმონიული მომზადება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მისი შეიარაღება იმ ცოდნით, რომელიც მას მისცემს ბუნების ძალათა გამოყენებისა და ცხოვრებაში გარკვევის უნარს. სწავა-აღზრდის ასეთი მიზანი, იაკობის აზრით, უნდა გულისხმობდეს ბავშვის ,, სულის ჰარმონიულად განვითარებას, რაც შეადგენს იდეალს სწავლისა და აღზრდისას“. (გ.თავზიშვილი 1960: 51)

ამ ძირეული კონცეფციიდან გამომდინარე იაკობი მთელი ძალებით იბრძოდა განათლების ისეთი სისტემისა და სასწავლებელთა ქსელის შექმნაზე, ,, რომელთაც შეუძლიათ გამოუზარდონ ჩვენს ქვეყანას ახალი ტიპის ქართველები“. (გ.თავზიშვილი იაკობ გოგებაშვილი 1960:54), რომელიც იაკობის აზრით აღჭურვილი იქნება მაღალი ცოდნითა და მორალით, სამშობლოსა და ხალხის

მგზნებარე სიყვარულით, მაღალი ჰუმანური იდეებით, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულებით.

იაკობ გოგებაშვილს განათლების სინონიმად მიაჩნდა შეძენა ,, ნამდვილი ცოდნისა, რომელიც ასწავლის ადამიანს ზედმიწევნით ბუნების ძალათა მოხმარებას და სოციალურ პროგრესისათვის ბრძოლას," და იქვე დასძენს, რომ სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა, იმისთანა, რომელსაც წინ ვეღარაფერი ვერ უდგება. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის" (გ.თავზიშვილი 1960: 56) ახალგაზრდობის გონებრივი განვითარებისათვის იაკობი სრულიად მართებულად მოითხოვდა მისი ცნობიერების ამაღლებას, გამდიდრებას მეცნიერების ახალი მიღწევებით, რეალური ცოდნითა და პრაქტიკული მოღვაწეობის უნარით. ,,შეუძლებელია ისე ავღზარდოთ მოზარდი, რომ წინასწარ არ განვსაზღვროთ აღზრდის მიზანი, ე.ი. აღსაზრდელი გარკვეული ,, პროექტის" მიხედვით უნდა ჩამოვაყალიბოთ" ,, დაპროექტებული ადამიანის აღზრდა გულისხმობს იმ უნარ-ჩვევების კომპლექსის ჩამოყალიბებას, რომელშიც მოზარდს ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, განვითარებული ექნება საზოგადოებრივი მოთხოვნები და საყოველთაოდ მიღებული, აღიარებული სოციალ- კულტურული ღირებულებები. მაინც როგორი ახალგაზრდობა შეიძლება ჩაითვალოს ცხოვრებისათვის მომზადებულად, როგორ ახალგაზრდობას შეუძლია ბუნების ძალათა გამოყენება, ან რას ნიშნავს ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი?

იაკობ გოგებაშვილი აყენებს „ ახალი ტიპის ადამიანის" შექმნის პრობლემას. იაკობს, როგორც ფხიზელი გონების მოაზროვნეს მხედველობის არედან არ გამოპარვია ე.წ. ძველი ტიპის თავადაზნაურულ-ინტელიგენტური ფუქსავატობა, ზერელობა, ეროვნული ინტერესებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება ან პირდაპირი ღალატი, მშრომელი ხალხისაგან მოწყვეტა, რუსული ბიუროკრატისადმი შეზრდის ტენდენცია. ასეთი ინტელიგენციის შესახებ ის წერდა: ,,ახალანდელი ტიპი ქართველისა ძალიან მდარე არის. მათ აკლიათ გონებრივი

ძალა, ნამდვილი ცოდნა, მტკიცე ხასიათი, მხნეობა, თაოსნობა“. (ი.გოგებაშვილი 1982; 18)

სახელოვან მამულიშვილს სწამს, რომ საქართველოს დაუდგა ჟამი შვას, ,,აღზარდოს“ ახალი ტიპის ქართველი, რომელიც მზად იქნება ბუნების ძალათა

მოხმარებასთან ერთად იბრძოლოს ხალხის უკეთეს და ბედნიერ მერმისისათვის. ამ ამოცანის შესრულებას ის აკისრებდა ახალი ტიპის სკოლას. ახალი ტიპის ქართველს უნდა ჰქონდეს ძლიერი გონება, რეალური ცოდნა, მტკიცე ნებისყოფა და ხასიათი, სახალხო საქმის თაოსნობის უნარი, ახასიათებდეს სამშობლოსა და ხალხის მგზნებარე სიყვარული, თავაზიანობა, დარბაისლობა, სინდისი, პატიოსნება.

იაკობ გოგებაშვილს გონებრივი განათლების სინონიმად ,, ნამდვილი ცოდნა“

მიაჩნია, ამიტომ ყველგან, სადაც იაკობი საუბრობს განათლებაზე, გოგებაშვილს მხედველობაში აქვს ,, გონებრივი განათლება“ ან ,, გონებრივი სიმდიდრე“.. ,, დიახ, დიდია, ფრიად დიდია მნიშვნელობა ცოდნისა, განათლებისა, იგი იმდენადვე საჭირო არის არსებობის და წარმატებისათვის, რამდენადაც ჰაერის სუნთქვისა და სიცოცხლითვის“ აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი. (ი. გოგებაშვილი 1982: 35).

ამრიგად, რეალური განათლების სისტემა დიდ მოაზროვნესა და პედაგოგს მიაჩნია იმ ერთადერთ გზად, რომელიც ჭეშმარიტ ცოდნას აძლევს მოსწავლეს და ამდიდრებს მის გონებას სასარგებლო ცოდნით. ის ახალგაზრდობის გონებრივი განათლებისათვის, დიდი ილიას მსგავსად, სრულიად მართებულად მოითხოვდა მის შეიარაღებას ევროპული მეცნიერული ცოდნით, მეცნიერების ახალი მიღწევებით გამდიდრებას, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებიდ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

დიდ მოაზროვნეთა თვალაზრისით სწორედ რეალური განათლების სისტემაა ის ერთადერთი, რომელიც ჭეშმარიტ ცოდნას აძლევს მოსწავლეს და ამდიდრებს მის გონებას სასარგებლო ცოდნით, როგორც ბუნებისმეტყველებიდან, ისე საზოგადოების ცხოვრებიდან.

ესთეტკური აღზრდა

ესთეტიკური აღზრდა ადამიანის ჰარმონიული განვითარების ნაწილია. იგი გულისხმობს მოზარდში მშვენერების, სილამაზის აღქმის, გაგებისა და განცდის უნარების გამომუშავებას, მხატვრული გემოვნების განვითარებას. ესთეტიკური აღზრდის მიზანია ადამიანში მშვენიერების განცდის აღზრდა, რაც პირველყოვლისა, გულისხმობს პიროვნების აღზრდას, რომელსაც უნდა გააჩნდეს არა მხოლოდ მშვენიერების შერჩევისა და მისი ტკბობის, არამედ მშვენიერების თავად შექმნის უნარი ანუ ესთეტიკური განათლება ხელს უწყობს ადამიანის შესაძლებლობების გამოვლენას და მისი შემოქმედებითი ძალების რეალიზებას.

ესთეტიკური განათლების საჭიროებების შესახებ ფრაგმენტულ, მაგრამ საყურადღებო ცნობებს ცნობებს ვხვდებით ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის მოაზროვნეთა ნაშრომებში. პითაგორას, ჰერაკლიტეს, პლატონის, სოკრატეს,არისტოტელეს ფილოსოფიურ-ესთეტიკურმა კონცეფციებმა დიდი გავლენა მოახდინეს ესთეტიკური გემოვნებისა და განცდების განითარება-ჩამოყალიბებაზე, შექმნეს მისი შემდგომი განვითარების საფუძველი, რაც განავითარა და წინ წასწია

რენესანსის ეპოქამ. აღორძინების ეპოქის ესთეტიკური იდეალი ჩამოყა-ლიბდა ახალი პოგრესიული მსოფლმხედველობის - ჰუმანიზმის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც უმაღლეს ღირებულებად რეალური სამყარო, ადამიანი იქნა აღიარებული. ჰუმანიზმის იდებმა განსაკუთრებით მკაფიო და სრული ხორცშესხმა ჰპოვა ხელოვნებაში, რომლის ძირითად თემადაც ფიზიკურად სრულყოფილი, ჰამონიულად განვითარებული ადამიანი იქცა თავისი ამოუწურავი სულიერი და შემოქმედებითი შესაძლებლობებით.

ამრიგად აღორძინებამ, ჰუმანიზმის ეპოქამ აღზრდის ცენტრში დააყენა ჰამონიულად განვითარებული, თავისუფალი პიროვნების აღზრდის აუცილებლობა,

რომელსაც შეეძლო შეეცვალა და გარდაექმნა საზოგადოების ესთეტიკური შეხედულებები და იდეალები.

განმანათლებლობის ეპოქაში, რომელიც ავითარებდა აღორძინების ეპოქის პროგრესიულ შეხედულებებს, იდეალად რჩებოდა , ყოველმხრივ განვითარებული, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციითვის მზად მყოფი პიროვნების აღზრდა, მაღალი გონებრივი განვითარებითა და ესთეტიკური იდეალებით.

ამრიგად, განმანათლებლობის ეპოქაში, იდეალი გახდა ყოველმხრივ განვით-არებული, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისათვის მზად მყოფი პიროვნების აღზრდა, ისე რომ თავისუფალი სწავლა-აღზრდა შეხამებული უნდა ყოფილიყო მოზარდის ბუნებრივ თვისებებსა და უნარ -ჩვევებთან.

მოკლედ მინდა შევეხო ესთეტიკური განვითარებს იდეებს იაკობ გოგებაშ-ვილის პედაგოგიურ შემოქმედებაში. იგი ფიქრობდა, რომ ესთეტიკური აღზრდა არ უნდა დავიყვანოთ, არ უნდა დავავიწრვოთ ხელოვნების სფერომდე., აქვე უნდა გვახსოვდეს, ხაზს უსვამდა იაკობი, რომ ესთეტიკური აღზრდის მთავარი ფაქტორია ბუნება, მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მისი აზრით ,, ესთეტიკური აღზრდა უნდა გავიგოთ, როგორც ჰარმონიულად სრულყოფილი, ესთეტიკური პიროვნების აღზრდა“, (თავზიშვილი გ. 1977 : 38) , რომელსაც გამომუშავებული აქვს მშვენიერების აღქმა-შეფასების უნარზე დაფუძნებული ემოციურ- ესთეტიკური მიმართება, სინამდვილის გამოვლინებისადმი მარალგანვითარებული ესთეტიკური გრძნობა-გემოვნება, ინტერესები. მას მიაჩნდა, რომ სკოლის პირობებში მოზარდის ესთეტიკური განათლება-განვითარების პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული ხელოვნებასთან. ამასთან დამოკიდებულებაში გაჩნდა ტერმინები ,,მხატვრული განათლება, მხატვრული განვითარება.“ ამიტომსაცაა, რომ იაკობის ნაწარმოებები, როგორც სიტყვის ხელოვნების ნიმუშები, თავისი მრავალფეროვანი და მრავალმხრივი შესაძლებლობებით დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მოზარდებზე, უვითარებს მათ ესთეტიკური აღქმის, შეფასებისა და მსჯელობის უნარს.

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი ქმედით საშუალებას წარმოადგენს მუსიკა. იგი ასახავს რა სინამდვილეს ბგერით სახეებში, ,, მუსიკა დროითი ხელოვნებაა და ამდენად მთელი იმ ხნის მანძილზე, როდესაც მას უსმენ ადამიანის ემოციური სამყარო იტვირთება, რაც დიდ გავლენას ახდენს მთელ მის ემოციურ -ესთეტიკურ სამყაროზეო“ ამბობს იაკობი. (გ.თავზიშვილი 1977: 48)

როგორც იაკობი აღნიშნავს, ,,მოსწავლეთა მუსიკალურ -ესთეტიკურ აღზრ-დის ერთ -ერთ საუკეთესო საშუალებას კლასიკურ მუსიკალურ მემკვ-იდრეობასთან ერთად, წარმოადგენს ეროვნული სიმღერა. დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხურ საყმაწვილო სიმღერას. იგი უვითარებს მოზარდს სმენას, აჩვევს ჰარმონიას, ზრდის მის გულში სინაზეს და სიფაქიზეს. ერთი სიტყვით აკეთილშობილებს მის ბუნებას.“ (ი.გოგებაშვილი 1940; 48) .

,, მსოფლიოში იშვიათად მოიძებნება ერი, რომელიც ამხელა კულტურულ მემკვიდრეობას ფლობდეს. ქართული მრავალხმიანი სიმღერა, საერო სიმღერები და საეკლესიო საგალობლები შეიცავს მოზარდ თაობაზე ზემოქმედების ამოუწურავ შესაძლებლობებს“ - წერს იაკობი (ი.გ.თავზიშვილი 1977 : 55). ყოველივე ამას იაკობის აზრით თან უნდა ერთვოდეს სახვით ხელოვნებასთან ზიარების პროცესი. ფერწერა, გრაფიკა, არქიტექტურისა და დეკრატიული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ხატვა, ძერწვისა და აპლიკაციის ტიპი სამუშაობი, რომელთა შესრულების პროცესი მოზარდზე წარუშლელ კვალს ტოვებს. მთლიანდ და სავსებით ვიზიარებ პედაგოგიურ თეორიასა და პრაქტიკაში აღიარებული ჭეშმარიტებას, რომ მოწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მნშვნელოვანი გზაა კლასგარეშე აქტივობები. მას ემსახურება საკლასო და სასკოლო ან უფრო ფართო მასშტაბის ღონისძიებები: მაღალმხატვრული საბავშვო ნაწარმოებების გამომეტყველებითი კითხვა, ერთობლივი გასეირნება ბუნებაში, მონაწილეობა დღესასწაულების მომზადებასა და ჩატარებაში, სამხატვრო გამოფენების დათვალიერება, მკითხველთა კონფერნცია, მხატვრული ფილმების ნახვა და განხილვა,

..... ეს აქტივობები დიდ როლს თამაშობს მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში, სილამაზის და მშვენიერების აღქმისა და განცდის უნარების ჩამოყალიბებაში.

ფიზიკური აღზრდა

ჰარმონიული, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის ერთ -ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ფიზიკური აღზრდა წარმოადგენს. მისი მნშვნელობის და როლის გააზრების სათავე ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში იღებს სათავეს.

ფიზიკურ აღზრდაზე ზრუნვამ, ჯერ საბერძნეთში, შედეგ კი რომში სისტემური სახე მიიღო.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ადამიანის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბების ერთ -ერთ მთავარ საფუძვლად მასში ტანდაყოლი ფსიქოფიზიკური (ინტელექტუალური) სრულყოფილად განვითარება არის მიჩნეული. (ი.ბიბილეიშვილი, 2011:50) ამით ხაზგასმულია ის დიდი როლი რომელიც, ფსიქოლოგიური განვითარების პალალერურად, ფიზიკურ განვითარებას ენიჭება.

პიროვნების ფორმირებაზე ფიზიკური კულტურის ზემოქმედების როლი იზრდება იმ მაღალ ემოციურ ფონთან დაკავშირებით, რომელიც თან ახლავს სპორტულ შეჯიბრებებს. ის ავითარებს თანაგრძნობის , თანაგანცდის, ურთიერთ-დახმარების მიდრეკილებებს, განსაკუთრებით - ჯგუფური მოქმედებების დროს, როდესაც იზრდება პიროვნული პასუხისმგებლობა საერთო მიზნების მიღწევაში. ფიზიკური კულტრურა განსაზღვრავს ცხოვრების ჯანსაღ სტილს, მისი მეშვეობით შესაძლებელია ფიზიკური სრულყოფილების მიღწევა, ადამინური ღირებულებების ჩამოყალიბება.

მინდა ყურადღეება გავამახვილო იმ გარმოებაზე, რომ სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების დროს წარმოიშობოდა ფიზიკურ ვარჯიშთა განსხვავებული სახეები, ფიზიკური აღზრდის ორგანიზაცული ფორმები და თეორიები. სირბილი, კრივი, ჭიდაობა, ეტლით რბოლა, ფარიკაობა, ნიჩბო-სნობა, ტანვარჯიში, აკრობატიკა, წყალში ყვინვთა და სხვ --აი იმ სპორტულ სახეობათა არასრული ჩამონათვალი, რომელთა შესახებაც მოგვითხრობენ აკლდამებზე შემონახული იეროგლიფვები, ხოლო შუამდინარეთში ლურსმნული წარწერები.

პირველი ცნობები სპორტული ასპარეზობის ჩატარების შესახებ საბერძნეთში შემოგვინახა ჰეროდოტემ, თავის უკვადვ პოემაში ,, ილიადა", სადაც აღწერილია, რომ პატროკლეს დაკრძალვის შემდეგ, აქილევსმა, მის პატივსაცემად მოაწყო სპორტული ასპარეზობა. ძველ საბერძნეთში მრავალი სახის სპორტული ასპარეზობები იმართებოდა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, ოლიმპიური თამაშები იყო, რომელიც ჩატარდა ძვ.წ. -ის 776 წელს.

ცნობილია, რომ მედიცინის მამამთავარი ჰიპოკრატე, რომელმაც 104 წელი იცოცხლა, ქადაგებდა ტანვარჯიშს, წყლითა და მზით წრთობას, სუფთა ჰაერზე გასეირნებას, ზომერ კვებას. ჰიპოკრატე პანათენური თამაშების გამარჯვებული იყო ჭიდაობაში, ცნობილი ბერძენი მწერალი და ისტორიკოსი პლუტარქე ტანვარჯიშს უწოდებდა ცხოვრების მოძრაობით საგანძურს. ფილოსოფოსი პლატონი წერდა: ,, ტანვარჯიში არის მედიცინის სამკურნალო ნაწილი" არისტოტელეს თანახმად ,,არაფერი ისე არ აუძლურებს და არღვევს ადამიანს, როგორც ხანგძლივი ფიზიკური უმოქმედობა", პითაგორა კი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იყო კრივში და მას როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგეს. (ქობულაძე 2003:11)

საყოველთად ცნობილი ფაქტია, რომ საბერძნეთის მრავალ ქალაქში გახსნილი იყო პალესტრები და გიმნაზიები, სადაც ხდებოდა ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდა. აქ გამოიყენებოდა აღზრდის ცნობილი ფორმულა - ,, სპარტანული აღზრდა", სპარტელი ბავშვები 7 წლის ასაკიდან 20 წლამდე

პალესტრებში სწავლობდნენ და საგულისხმოა, მათი აღზრდის ხარჯებს სახელმწიფო იღებდა.

პალეტრებსა და გიმნაზიებში ფიზიკური აღზრდის სისტემა მაღალ დონეზე იყო დაყენებული. ბავშვებს აჩვევდნენ სიცივეს, სიბნელეში ყოფნას, ტალახსა და წვიმაში მიმდინარეობდა მათი წვრთნა, ღია ცის ქვეშ, ხმელი ტოტებით დაფენილ მიწაზე

ეძინათ. ამიტომ ტერმინი ,, სპარტანული აღზრდა“ დამკვიდრდა, როგორც მკაცრი აღზრდის სინონიმი. აღზრდის ეს სისტემა ორიენტირებული იყო როგორც სპოტულ შეჯიბრებებზე მაღალი შედეგების მიღწევასა და სამხედრო-ფიზიკურ მომზადებაზე, ისე სხეულის ჰარმონიულ განვითარებაზე.

ფიზიკურ განვითარებას დიდი ყურადღება ექცეოდა ასევე ძველ რომში, სადაც მოზარდების წვრთნა ძირითადად მომავალი მეომრების მომზადებისათვის იყო გამიზნული, ასევე არსებობდა გლადიატორთა სკოლები, სადაც მონებიდან საუკეთესო მეომრებს არჩევდნენ, სპეციალურად ავარჯიშებდნენ და ამზადებდნენ ცირკის არენაზე სანახაობრივი გამოსვლისათვის. (ქობულაძე 2003: 11)

ძველ საქართველოში, ფიზიკური აღზრდის სისტემა, როგორც პიროვნების ჰარმონიული განვითარების ერთ-ერთი კომპონენტი, მაღალ დონეზე ყოფილა დაყენებული რასაც ადასტურებს აპოლონიუს როდოსელი თავის ,, არგონავტიკაში“, სადაც ის გვაწვდის ცნობებს, რომ კოლხეთის კოლხეთის უძველეს და მთავარ ქალაქ აიას ჰქონია მაღალი გალავნით შემოზღუდული იპოდრომი, ცხენსარბიელი და საასპარეზო მოედნები, სადც კოლხები ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად რბენასა და მხედრულ შეჯიბრებეს აწყობდნენ.

ფიზიკურ აღზრდაში განსაკუთრებული ყურადღება ძალ-ღონის, გამძლეობის, გამბედაობის, მოქნილობის, სამხედრო წვრთნას, იარაღის მარჯვედ გამოყენების მიმართულებას ექცეოდა, რასაც ძირითადად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საგარეო ფაქტორიც განაპირირობებდა. ამ უკანასკნელმა კი განვითარების გარკვეულ დონეზე განსაზღვრა ის, რომ

ქართველი მამაკაცის საბრძოლო და ფიზიკურმა აღზრდამ ერთგვარად მხედრული მიმართულება მიიღო.

ილია ჭავჭავაძე თავის შემოქმედებაში ხაზს უსვამდა ფიზიკური აღზრდის როლსა და მნიშვნელობას პიროვნების ჰამონიული განვითარების ერთიან სისტემაში. ის მოწონენებით შეხვდა სახალხო სკოლების სასწავლო პროგრამებს, რომლებმაც ილიას თქმით ,,სათავედ დაიდო ახალი მოძღვრება ჰუმანურობისა.., საცა ერთნაირი და თანასწორი ყურადღება იყო მიქცეული, როგორც ყმაწვილის ჭკვაგონების განვითარებისა და გაძლიერებაზედ, ისეც ძვალ-ხორც-ჯანის გამაგრებასა და გაღონიერებაზედ“ (ასათიანი, ბალანჩივაძე 1997: 282).

ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდის მრავალი მომენტიდან იაკობ გოგებაშვილი გამოყოფს ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობას, მის თავისთავდადებას და დამოუკიდებელ ხასიათს. იგი სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ახალგაზრდობის, სრულყოფილ მოღვაწეთა აღზრდისათვის საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს.

იაკობ გოგებაშვილი ეხება თბილისის სასულიერო სემინარიის მრავალ პრობლემას და მათ შორის მწვავედ აკრიტიკებს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის უგულებელყოფას. ის წერდა; ,,მოსწავლეთა მატერიალურ კმაყოფასა და საერთოდ მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე არსააკმაო ზრუნვა შეიძლება იქცეს ხელმძრვანელობით უკმაყოფილებასა და გაბოროტების ერთ-ერთ უძლიერეს მიზეზად.’“ მისი აზრით ,,სემინარიელთა ნორმალური აღზდისათვის საჭიროა სემინარიის ხელმძღვანელობამ შექმნას ,, უვნებელ გართობათა მთელი სისტემა, რომელიც განამტკიცებს სემინარიელებში მხნე განწყობასა და აღზრდის მათში კეთილშობილურ გრძნობებს.“ (გ.თავზიშვილი 1977: 102)

შრომითი აღზრდა

ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების საკითხი, მისი გონებრივი,ზნეობრივი, ესთეტიკურ, ფიზიკური აღზრდის საკითხი ორგანულადაა დაკავშირებული მოზარდი თაობის შრომითი აღზრდის პრობლემებთან, რომელიც საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე იქცევდა ყურადღებას ინარჩუნებს თავის აქტუალობას დღემდე. ამ თვალსაზრისით, ჩემს სამაგისტრო ნაშრომში

განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილი ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის შეხედულებებზე მოზარდი თაობის შრომითი აღზრდისა და ცხოვრებისათვის მომზადების შესახებ.

განათლების შინაარსი, იაკობის აზრით, განსაზღვრული უნდა ყოფილიყო მოზარდი თაობის ცხოვრებისათვის მომზადების თვალსაზრისით. როგორი ახალგაზრდობა შეიძლება ჩაითვალოს ცხოვრებისათვის მომზადებულად? როგორ ახალგაზრდობას შეუძლია ბუნების ძალათა რაციონალური გამოყენება თავის სასარგებლოდ? როგორ აღვზარდოთ ამ უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მოზარდები? სვამს კითხვებს დიდი მოაზროვნე და თვითონ პასუხობს: ,,მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები მომხრე რეალური განათლებისა“ (ი.გოგებაშვილი 1982 :293).

რეალური განათლება იაკობის აზრით არის ერთადერთი გზა, რომელიც

,, ჭეშმარიტ ცოდნას“ აძლევს მოსწავლეს და ამდიდრებს მის ცოდნას, როგორც ბუნებისმეტყველებიდან, ისე საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.. ის კონკრეტული მაგალითებით ასაბუთებს, რომ რელური განათლების სისტემა ახალგაზრდას აძლევს უფო მეტ და სასარგებლო ცოდნას, ვიდრე კლასიკური. სრულიად დამაჯერებლია იგი ამ დასაბუთებაში, მაგრამ დიდი რუსი პედაგოგის უშინსკის აცტორიტეტის გამოყენების მიზნით მაინც წერს; ,,საუკეთესო პედაგოგების აზრით, რომელსაც უშინსკიც ეთანხმება, რეალური განათლება აძლევს მოსწავლეთა გონებას ყველა იმ სიკეთეს, რასაც არ ელიან კლასიკური სისტემიდან და ბევრ სხვასაც და ავსებს თავისს მიმდევართა ცხოველი და ნაყოფიერი სწავლითა და არა ცარიელი ფილოლოგიური ფორმულებით“ (ი. გოგებაშვილი 1982:266) ახალგაზრდობის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარებისათვის გოგებაშვილი სრულიად მართებულად მოითხოვდა მათი ცნობიერების გამდიდრებას მეცნიერების ახალი მიღწევით, რეალური ცოდნითა და პრაქტიკული მოღვაწეობის უნარით

რეალური განათლების სისტემა, გოგებაშვილის აზრით, ,,არის სისტემა მომავალისა“, ხოლო კლასიკური სისტემა კი დრომოჭმული და გარდასული, არა მარტო იმიტომ ებრძვის იაკობ გოგებაშვილი კლასიკურ სისტემას, რომ ეს სისტემა მკვდარი ბერძნული და ლათინური ენების შესწავლას მოითხოვს, არამედ იმიტომ, რომ ის ჯეროვან ყურადრებას არ უთმობს ბუნებისმეტყველების შესწავლას ანუ მომავალი თაობის ცხოვრებისათვის, შრომითი, პრაქტიკული საქმინობისათვის მომზადებას.

,,ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას, ფორმულების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის ჭეშმარიტის ცოდნისას, ხოლო ამგავარ ცოდნას იძლევა რეალური სისტემა განათლებისა. ამ სისტემას ყველა უპირატესობა აქვს კლასიკური სისტემის წინაშე. პირველად რეალური სისტემა ამ ფორმალურს განათლებასაც ანიჭებს მოწაფეს, რომელიც შეადგენს ერთადერთს ღირსებას კლასიკურის სისტემისა და ამის გარდა ნამდილ ცოდნითაც ამდიდრებას“ (ი.გოგებაშვილი 1982 : 276)

ამრიგად, ახალგაზრდობის მომზადება ცხოვრებისათვის იაკობ გოგებაშვილს წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც თეორიული აზროვნებისა და პრაქტიკის მტკიცე კავშირი. თეორიული ცოდნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნას ნამდვილი, თუ მას ახალგაზრდა პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენებს. ცხოვრებასთან თეორიის დამოკიდებულება იაკობს ესმოდა, როგორც ადამიანის პრაქტიკული შემოქმედების გააზრება, როგორც ცხოვრების გაუმჯობესების გზა.

მოზარდი თაობის ცხოვრებისათვის მომზადებას, მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას განსაკთრებულ ყურადღებას აქცევდა დიდი ილია. ილიას ღრმა რწმენით ახალგაზდას ცხოვრებაში შეხვდება უამრავი დაბრკოლება და ბარიერი, რომლის გადალახვა და დაძლევა იოლი საქმე როდია. ამისათვის მოზარდს უნდა გააჩნდეს ნებისყოფა, სირთულეების დაძლევის შესაბამის გზების გამონახვისა და განხორციელების უნარი, რასაც სამწუხაროდ ვერ იძლეოდა ილიას დროინდელი განათლების სისტემა. ამიტომ ის გულისტკივით წერდა:,, ქვეყანა იმით კი არა არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არ ჰყავს.“

ამიტომ ილია თავდაუზოგავად იბრძოდა სახალხო სკოლების დაარსებისა და სასწავლო პროგრამების გადახალისებისათვის, რადგან მხოლოდ ხალხურობის პრინციპებზე დაფუძნებულ სკოლებს შეეძლოთ ამ დიადი მისიის შესრულება. ,, სწავლა, ცოდნა, მეცნიერება - ღონეა იმისთანა, რომელსაც წინ ვეღარაფერი ვეღარ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერცა ჯართა სიმრავლე“ (ი.ჭავჭავაძე 1986: 32). ილიას ღმად სწმდა ქართველი ახალგაზრდები უძლებდნენ თავიანთი მისიის შესრულებას, ცხოვრებისული პრობლემების გადაჭრას და ქვეყანას უკეთესი მერმისისაკენ წაიყვანდნენ წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, გაითვალისწინებდნენ არსებულ რეალობას, შეძლებდნენ ფეხი აეწყოთ ეპოქის მოთხოვნებისადმი, რადგან ,,ქვეყანა ტაძარი კი არაა, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს“ (ი.ჭავჭავძე 1987: 102)

სამოციანელებს დიდი ილიას მეთაურობით ფართოდ აქვთ განხილული

განათლებისა და აღზრდის როლი საზოგადოების წინსვლა-განვითარებაში. მათაზრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის და ამ მნიშვნელობას ეს აზრები დღემდე ინარჩუნებენ.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი სამოციანელები საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში გამამწყვეტ როლს ანიჭებდნენ ხალხის განათლებას, მომავალი თაობის სწავლა-აღზრდას და აქედან გამომდინარე პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას, რაც იმ დროისათვის მეფის რუსეთის რუსიფიკაციული პოლიტიკის პირობებში, თითქმის შეუძლებელი იყო.

ილიას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მთავარ საშუალებად მიაჩნდა ახალი თაობის მომზადება ცხოვრებისათვის. ჯერ კიდევ 1863 წელს ილია წერდა: ,, ქვეყნის მყოფადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“ , ამიტომ ავითარებს ამ აზრს დიდი მამულიშვილი ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს ცოდნას, განათლებას, ,, ცოდნა ყველაფერია: ფულზედ უფრო დიდი ბაზრი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადაც აწრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.“ (ი.ჭავჭავაძე 1987: 88))

ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენას დიდი ილია სწორედ უსწავლელობას, უმეცრებასა და გაუნათლებლობას მიაწერდა. ,, ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენი უღონობისა, უკან ჩამორჩობისა, ჩვენი უბედურებისა უმეცრება და უსწავლელობაა“ წერდა ილია იმავე ნაშრომში. (ი.ჭავჭავაზე 1987 : 90)

ილიას სამართლიანი მტკიცებით, საქართველო, ჩვენი ქვეყანა, ბევრ სხვა ქვეყანაზე ბუნებრივი რესურსებით უფრო მდიდარია, მაგრამ, მაინც ღარიბები ვართ, იმიტომ, რომ ,, არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევსა , საიდამ რა ამოვიღოთ“, ერთი სიტყვით, გვაკლია ის, რაც ხერხსაც სჯობია და ღონესაც ---რეალური ცოდნა, მისი პრაქტიკაში გამოყენება.

ამიტომ ილიას ღრმად სწამდა, რომ ცოდნასა და განათლებას მოკლებული ადამიანი თავს ვერ დააღწევდა ჩამორჩენილობას, ვერ იპოვიდა იმ სავალ გზას, რომელიც მას ევროპული აღორძინებისაკენ წაიყვანდა. იგი ღრმად იყო

დარწმუნებული, რომ კარგი აღზრდა საზოგადოების წინსვლის მძლავრი სტიმულია, მძლავრი ბიძგია, მამოძრავებელი ძალაა, რომ აღზრდა თავისი შინაარსით მიმართული უნდა იყოს ხალხისაკენ, მისი კეთილდღეობისაკენ და უნდა ეყრდნობოდეს ხალხურობის პრინციპს.

2. ზნეობრივი აღზრდის საკითხი აღზრდის საერთო სისტემაში.

სამეცნიერო და პედაგოგიურ ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ პიროვნების ყოვლმხრივი, ჰარმონიული განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესში ცენტრალურია მოზარდი თაობის მაღალზნეობრივი აღზრდა, როგორც სულიერი სიჯანსაღისა და სიწმინდის წინაპირობა.

როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს სწავლა-აღზრდის ფაქტორების შესახებ მსჯელობა, ადამიანის სულიერი განვითარების პროცესები ძველთაგანვე იპყობდა ამ საკითხით დაინტერესებულ მოაზროვნეთა ყურადღებას. ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიების ხანგძლივი ისტორიის განმავლობაში მოსაზრებების ნაირსახეობები წარმოიშვა. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნდა, რომ განვითარება მხოლოდ გენეტიკურად განსაზრვრული პროცესია, ხოლო ნაწილი კი ფიქრობდა,

რომ ის მხოლოდ გარემოებებზე დამოკიდებული მოვლენაა. (სწავლებისა და განვითარების თეორიები 2008;72)

აღზრდა, როგოც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ფუნქციის მატარებელი მოვლენა, წარმოიშვა საზოგადოების ჩასახვისთანევე. ამიტომ ზნეობრივი აღზდის თეორიული სათავეები იბადება ფილოსოფიის წიაღში, რომელიც დიდი ხანია როგორც მეცნიერება და რომელიც სწავლობს სიცოცხლის საზრისს, ადამიანის არსს, მის ადგილსა და დანიშნულებას საზოგადოებაში.

სოკრატეს, პლატონის, არიტოტელესა და დემოკრიტეს ფილოსოფიურ ტრაქტატებში ჩანს მკაფიოდ ფორმულირებული იდეები და დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია აღზრდის საკითხებთან, პიროვნების ჰარმონიულ ფორმირებასთან, საზოგადოებაში მისი მდგომარეობის განსაზღვრასთან.

აღზრდა პედაგოგიური თვალსაზრისით - ეს არის პიროვნების განვითარებაზე, მის დამოკიდებულებაზე, ხასიათზე, შეხედულებაზე, რწმენაზე, ქცევაზე, მიზანმიმართული ზეგავლენის პროცესი და შედეგი. . დიდი პედაგოგი კიდევ უფრო აკონკრეტებს აღზრდის დეფინიციას და წერს: ,, აღზრდა ზოგადი სახით ეს არის პიროვნების ჩამოყალიბების, ფორმირების, რთული, სოციალური, მიზანმიმართული და ორგანიზებული პროცესი აღმზრდელის, მასწავლებლის ხელმძრვანელობით“ (ა. გობრონიძე 2001: 34)

აღზრდის საშუალებით, ხაზსს უსვამს პროფესორი ალ. გობრონიძე ,,ადამიანი თაობიდან თაობას გადასცემს, როგორც საკუთარ, ისე წინაპართა გამოცდილებას. აღზრდის ამ ფუნქციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოების განვითარება (ა. გობრონიძე 2001: 15)

აქ მინდა მიმოვიხილო ზნეობრივი აღზრდის საკითხების შესახებ ძველი ბერძენი ფილოსოფოსების შეხედულებები:

სოკრატე

სოკრატე პირველი ბერძენი ფილოსოფოსი იყო, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ზნეობის საკითხებს. აღზრდა სოკრატეს აზრით, ეს არის ყოფაქცევის ჩვევები, რომლებსაც იძლევა სკოლა, ოჯახი, გარემო და რომელიც

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვლინდება. ამდენად, აღზრდა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა, რომელიც გულისხმობს მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში აქტიურ მონაწილეობას, მისთვის საჭირო უნარების განვითარებას.

აქედან გამომდინარე აღმზრდელი თავად უნდა იყოს დაჯილდოვებული მრავალმხრივი ნიჭით, შეეძლოს სიღრმისეული აზროვნება და ბავშვის შინაგანი სამყაროს წვდომა.

სოკრატე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოვლენაა ბერძნულ ფილოსოფიაში, ამბობს, რომ შემეცნება, თვითშემეცნება, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნაა, არ არის მთავარი და განმსაზღველი მიზანი. ჭეშმარიტი ცოდნა, სოკრატეს შეხედულებით, ზნეობას ემსახურება. სიკეთე, სათნოება, ცოდნაა, მცოდნე ბოროტებას არ ჩაიდენს. ჭეშმარიტი ცოდნის მიღებით არა მხოლოდ თვითშემეცნებას ვაღწევთ, არამედ იგი ზნეობის სათავეცაა.

ზნეობრივი თვალსაზრისით მეტად საინტერესოა სოკრატეს დებულება - ,, მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი", არცოდნის ცოდნა იყო, არცოდნიდან ცოდნამდე ამაღლება, არცოდნის დაძლევა და ცოდნის დაუფლების შესაძლებლობა. ამდენად, მასაც მაღალი ზნეობა და თვითშეფასება ედო საფუძვლად. თუ არცოდნას დავძლევთ, თუ მივიღებთ ჭეშმარიტ ცოდნას, მივაღწევთ თვითშემეცნებას და, მაშასადამე, ზნეობას.

სოკრატე ახალგაზრდებს უკეთურობისაგან განარიდებდა და უნერგავდა მათ მაღალ ზნეობას: სიკეთეს, პატიოსნებას, სამართლიანობას, თავდაჭერილობას, ასწავლიდა მშობლის და ზოგადა უფროსის პატივისცემას, უხსნიდა ჭეშმარიტი მეგობრობის, ნამდვილი სიყვარულის არსს, აღზრდა-განათლების აუცილებლობას, და ეს ხდებოდა არა ქადაგებითა და დამოძღვრებით, არამედ, ნაბიჯ-ნაბიჯ, საუბარში ჩართვით და დიალოგით, კითხა-პასუხით მიჰყავდა მოსაუბრე ჭეშმარიტ პასუხამდე. (ს. დანელია 1978: 104)

ქსენოფონტის მოგონებებში აღწერილია, როგორ ესაუბრებოდა სოკრატე ახალგაზრდებს. როგორ აყენებდა მათ სწორ გზაზე, როგორ ათავისუფლებდა იმ მანკიერი თვისებებისაგან, რომლის შეძენა უკვე მოესწროთ. დიალოგი ვაჟიშვილ

ლამპროკლესთან გვამცნობს, რა ოსტატურად მიიყვანა სოკრატემ დედაზე განაწყენებული ვაჟი იმ აზრამდე, რომ მშობლის უპატივცემულობა უსამართლობა და უმადურობაა, რომ შვილი ვალშია საკუთარი მშობლის წინაშე, რომ მან უნდა დააფასოს მშობლის შრომა და ამაგი.

პლატონი

პლატონის ყველა ნაწარმოები ზნეობრიობისაკენ, სათნოებისაკენ მიმავალი გზების ძიებაა. პლატონთან აღზრდა და სახელმწიფო ხელოვნება, პედაგოგიკა და პოლიტიკა სისხლხორცეულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მისთვის ფილოსოფიის და ყველა სხვა მეცნიერების საბოლოო მიზანია ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბება უმაღლესი ღირებულების იდეით, რათა იგი შემდგომ მას სახელმწიფოს უმაღლესი ღირებულებებისაკენ გეზის აღებაში დაეხმაროს. პლატონისათვის ,,ფილოსოფია და აღზრდა, ლოგოსი და ბიოსი, სწავლება და ცხოვრება, მეცნიერება და განათლება, ერთი მთლიანობაა, რომელიც სახელმწიფოებრივ- სოციალური საზოგადოების შუაგულში უნდა ჩაიდოს“ (ს. დანელია 1978 : 78)

პლატონის აზრით პიროვნების აღზრდისათვის აუცილებელია, როგორც სულიერი, ისე ფიზიკური განვითარება., რადგან მარტო სულიერი ზედმეტ მგრძნობელობას გამოიწვევს, ფიზიკური კი - ხასიათის გადაჭარბებულ სიმტკიცეს. მხოლოდ ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანს ექნება ერთდროულად მამაცი და თავმდაბალი სული. პლატონის აზრით ამის მიღწევა შესაძლებელია გიმნასტიკური ვარჯიშებისა და ხელოვნების მონაცვლეობის ბაზაზე, თანაც ისე, რომ სულიერი და ფიზიკური აღზრდის შეფარდებისას სულიერი უნდა სჭარბობდეს, რადგან სხეულზე ზრუნვა - ეს არიას ზრუნვა მოკვდავსა და წარმავალზე, ზრუნვა სულზე კი - სწარაფვაა უკვდავებისა და ბედნიერებისაკენ.

ასე, რომ სწორი აღზრდის გარეშე თვით საუკეთესო ბუნებრივი მონაცემებით დაჯილდოებულნიც კი უვარგისებად ჩამოყალიბდებიან. ამიტომ ძველბერძნული ეთიკა რაციონალისტურია. ეს მოძღვრება განვითარდა, შეჯამდა

და დაგვირგვინდა სტოიციზმში, მარკუს ავრელიუსის ბრწყინვალე და ბრძნული მეტაფორით: ,,მეცნიერება ბაღია, რომლის ნიადაგია ფიზიკა (ბუნებისმეტყველება), ღობეა ლოგიკა, ხოლო ნაყოფი ეთიკა“. (ს. დანელია 1978: 75)

შუა საუკუნეებში ქრისტიანული ეთიკა იყო ერთპირიოვნულად გაბატონებული. მისი არსი ადამიანის ცოდვილობის შეგნება უსასრულო სიკეთის წინაშე: მონანიება, უპირობო და უკრიტიკო მორჩილება - სათნოება, ასკეტიზმი, ზნეობრიობა გათანაბრებული იყო სათნოებასთან.

არსებითი სიახლე იყო რენესანსის ეპოქის ეთიკა და ჰუმანიზმი. იგი არც ანტიკურ ეთიკას იმეორებს და არც კანონიკურად ქრისტიანულია. იგი მოიცავს იმ მარადიულ ზოგადსაკაცობრიო მცნებებს, რომლებსაც ამჟამადაც ეფუძნება საერთო საკაცობრიო ეთიკა, საერთაშორისო სამართლის ნორმები და დემოკრატიული ფასეულობები.

ა. დისტერვერგი მხარს უჭერდა ჰარმონიული, უნივერსალური ადამიანის განათლების იდეას. სკოლის ამოცანა, მისი აზრით არის ადამიანური და ზნეობრივად განვითარებული პიროვნების აღზრდა. ის მოუწოდებს აღმზრდელებს გულდასმით შეიწავლონ ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური მახასიათებლები - ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, ის გარემო პირობები, რომელშიც მოზარდს უხდება ზრდა-განვითარება. (ი. ბიბილეიშვილი 2011:15) .

ფრანგული განმანათლებლობის, ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომა-დგენლის, ჟან-ჟაკ რუსოს შემოქმედებაში პირველად არის დამუშავებული ბუნებრივი აღზრდის თეორია, რომელშიც გათვალისწინებულია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივ-ესთეტიკური განვითარება. მისი პიროვნებად ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპზე. ეს კონცეფცია საფუძვლად უდევს რუსოს თვალსაზრისს აღზრდის მიზნის, შინაარსისა და განხორციელების მეთოდებს, ხოლო თავად აღზრდის ძირითად მიზანს რუსოს აზრით წარმოადგენს აღსაზრდელის უკეთ მომზადება ცხოვრებისთვის, რაც იმ ეპოქის ცხოვრებისული მოთხოვნილებებითა და იდეალებით განისაზღვრებოდა.

ჟან-ჟაკ რუსო იყო ერთერთი პირველი, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახალხო სკოლისა და დედა ენის შესწავლის მნიშვნელობას. რუსომ ღრმა ფსიქოლოგიური განჭვრეტით გაანალიზა დედა ენის შინაგანი სამყარო და საგულისხმო დასკვნებიც გამოიტანა: ,, ყოველ ენას თავისი განსაკუთრებული სული აქვს, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ ეროვნული ხასიათის მიზეზი ან შედეგი იყოს: ის ასაბუთებდა , რომ ყოველი ერის ენა იცვლება ზნეჩვეულებების ცვლილებებთან ერთად, ინახება ან ფუჭდება მათთან ერთად". ამით ჟან-ჟაკ რუსო ხაზს უსმამდა იმ გარემოებას, რომ ენა ერის სულის ნაწილია, შეზრდილია ერის სულიერ ფსიქიკაში და მასთან არის შესისხლხორცებული. (უ. ობოლაძე 1977: 64)

ცნობილი ინგლისელი სოციოლოგი და პედაგოგი ჰ. სპენსერი მწვავედ აკრიტიკებდა მოზარდებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას, ფაქტებისა და მოვლენების უაზრო დაზეპირებას. განათლებამ ა. სპენსერის აზრით უნდა მოიტანოს პრაქტიკული სარგებელი, უზრუნველყოს ბავშვის პიროვნების ჰარმონიული განვითარება, რომლის ცენტრალური ხაზია პიროვნების მორალური განვითარება. ის აღზრდის მთავარ პრინციპად ბუნებრივი შედეგების პრინციპს იყენებდა. ბაშვებმა საკუთარი გამოცდილებით უნდა გაიგონ, სად მიიყვანთ მათ საქციელი, რადგან კარგ საქციელს სიხარული მოაქვს, ცუდს კი უსიამოვნება. ამის გააზრება-გაცნობიერებას კი ბავშვები ჰ.სპენსერის შეხედულებით მორალური პრინციპების მეშვეობით განსაზღვრავენ. აქედან გამომდინარე სპენსერის პედაგოგიური კრედოა - აღზრდამ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი ადამიანის ჩამოყალიბებას, რომელიც საკუთარ თავს მართავს და არა ისეთი, რომელსაც სხვები მართავენ. (ეფექტანი სწავლება 2010;299)

ეხლა მინდა მოკლედ შევეხო ბავშვის მორალური განვითარების იდეებს ქართველ მოაზროვნეთა შემოქმედებაში და განსაკუთრებით გამოვყო სამოცდიანელთა პედაგოგური შეხედულებები ბავშვის მორალურ-ზნეობრივი განვითარების კუთხით.

აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ახალგაზრდობის აღზრდა -განათლების საქმეს არა მხოლოდ, როგორც ბუმბერაზმა პოეტმა და მოაზროვნემ, არამედ, როგორც ახალგაზრდების სწორუპოვარმა მრჩეველმა, დამრიგებელმა და აღმზრდელმა. აკაკის შეხედულებები მოზარდი თაობის სწავლების, აღზრდისა და განათლების შესახებ გადმოცემულია მის მრავალრიცხოვან ლირიკულსა და პოლიტიკურ-პუბლიცისტური ჟანრის ნაწარმოებებში. გარდა ამისა მგოსანი ავტორია მთელი რიგი ნაწარმოებებისა, რომელებიც უშალოდ ეხება აღზრდის პრობლემატიკას, კერძოდ მორალური აღზრდის საკითხებს, მორალური პრობლემების გადაწყვეტას. პოემა ,, გამზრდელი", მოთხრობა ,, პატარა ტარიელი", ,, მტირალი დედა" და სხვა მრავალი, ეს იმ ნაწრომებთა არასრული ჩამონათვალია, სადაც პოეტი გადმოგვცემს თავის შეხედულებებს მოზარდთა აღზრდის, კეძოდ მორალურ-ზნეობრივი გავითარების შესასახებ. აკაკი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა აღმზრდელის პირად როლსა და მაგალითზე აღმზრდელობით პროცესში. აქედან გამომდინარეობდა აკაკის თვალსაზრისი აღმზრდელის პირადი პასუხისმგებლობის შესახებ აღსაზრდელის მიმართ და ზოგადად საზოგადოებისა და ხალხის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი არაა პროფესიონალი პედაგოგი, ის იზიარებს და ფაროთდ ავითარებს სახალხო სკოლის განვითარების იდეას, თავდაუზოგავად იბრძვის მისი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პრინციპების ცხოვრებაში გატარებისათვის დიდი ილიასა და სხვა სამოციანელთან ერთად. (გ.თავზიშვილი 1977 : 127)

უზარმაზარია აკაკის როლი დედაენის დაცვისა და სწავლების მშობლიურ ენაზე პრინციპის დანერგვის საქმეში, რომელიც ისევ და ისევ მოსწავლეთა ზნეობრივ განვითარებას ემსახურებოდა, სწავლა-განათლება მისი აზრით ხალხურობის პრინციპით უდა წარმართულიყო, რომელიც იძლეოდა პიროვნების ჰარმონიული, ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობას.

ეთიკური პრობლემები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მთელი სიმწვავით, როგორც ეროვნულ, ასევე ზოგადსაკაცობრიო სიბრტყეზე, სამოციანელთა შემოქმედებაში დაისვა. სწორედ ამგვარი ინტერესი წარმართავს ილია ჭავჭავაძისა და

აკაკი წერეთლის შემოქმედებას. ილიასა და აკაკის უმთავრესი დამსახურება ისაა, რომ ისინი არა მხოლოდ მორალის სპეციფიკურ საკითხებს უთმობენ ყურადღებას, არამედ, საზოგადოდ მორალურ ჭრილში განიხილავენ საზოგადო პრობლემებს და სწორედ ეს პოზიცია წარმოადგენს მათი, როგორც საზოგადო მოღვაწეების დამსახურებას

ვაჟა-ფშაველა.

ვაჟა-ფშაველა სამოციანელთა ერთგული მოწაფე და იდეური მემკვიდრე იყო. ,,სრულიად უეჭველია ვაჟას იდეური ერთობა ილიასა და აკაკის საზოგადოებრივ მიზნებსა და მოღვაწეობასთან. უეჭველია, რომ ყოველი მასალა, ყოველი მოვლენა ვაჟას მიერ მორალურ-ეთიკური თვალთახედვითაა შეფასებული და განსახიერებული.

ვაჟა-ფშაველამ ერთის მხრივ განავითარა სამოციანელთა შემოქმედებითი პრობლემატიკა, ხოლო, მეორეს მხრივ, ახალ კონკრეტულ მასალაზე დააყენა, ახლებური მიდგომით განიხილა არაერთი ფუნდამენტალური საკითხი. ქართულ სამეცნიერო და პედაგოგიურ ლიტერატურაში საგანგებოდაა ხაზგასმული ვაჟას გამორჩეული ინტერესი ეთიკისა და მორალის სფეროების მიმართ. ,, ვაჟა-ფშაველა როგორც შინა, ისე გარე სამყაროსადმი ფილოსოფიურად მიმართული პიროვნება იყო. ამიტომაცაა, რომ ის ამა თუ იმ ამბის გადმოცემით როდი კმაყოფილდება.. ვაჟას პოემებში პირდაპირ სისტემატიური ხასიათი აქვს სიუჟეტური ჩარჩოებიდან გადახვევას - ფილოსოფიური განსჯით გატაცებას და მკითხველთა ჩართვას ეთიკურ პრობლემათა სიღრმეებში. (მ.გაფრინდაშვილი 1959 ; 134)

სწორედ ეთიკური და მორალური მიზანდასახულობა განსაზღვრავს საკითხების ვაჟასეულ შერჩევას, მის თემატიკას, როგორც კი მის თემატიკას ჩავუღრმავდებით, მაშინვე დავრწმუნდებით, რომ ეთიკურია ამ თემატიკის განსაზღვრის ვაჟასეული გზა და მისი ეთიკა არა თუ დგას ეპოქის მოთხოვნათა დონეზე, არამედ წინაც უსწრებს მას, მაღლდება მასზე.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას განსაზღვრავს უდიდესი ჰუმანისტური სულისკვეთება.

პოეტი მრავალგზის შეგვახსენებს კაცთმოყვარეობის, სიბრალულისა და შემწყნარებლობის მორალურ მნიშვნელობას. ვაჟას თვალსაზრისით, ამქვეყნად ყოველგვარი მშვენიერებისა და სათნოების საფუძველი სიყვარულის გრძნობაა, რომელიც ასულდგმულებს სამყაროში სიცოცხლის ყოველგვარ გამოვლინებას.

საინტერესოდაა ასახული ე.წ. მტრის კონცეპტი ვაჟას შემოქმედებაში. ვაჟას გმირები მაღლდებიან მტრისადმი თავისთავადი სიძულვილის გრძნობაზე. მათ ძალუძთ დაინახონ და დააფასონ ღირსება იმ დამიანებისა, რომლებიც მოწინააღმდეგეთა ბანაკში ირიცხებიან. მწერლის აზრით, დაუშვებელია მტრობა, შურისძიება იყოს საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველი. შურისძიება გამართლებულია მხოლოდ პატრიოტული მოტივით. აგრეთვე პიროვნების ღირსების ისეთი შელახვის შემთხვევაში, რომელიც არავის ეპატიება.

თავისი შემოქმედების პირველ ეტაპზე ვაჟა დიდი ინტერესით უტრიალებს სინდისის მორალურ პრობლემას. მრავალფეროვანია სინდისის გამოვლენის ფორმები მწერლის პროზასა და პოეზიაში. პოეტის მხატვრული დახასიათებით, სინდისის წარმოშობის საფუძველი ადამიანის სულიერი ცხოვრების უღრმეს ფენებშია საძიებელი. ვაჟა-ფშაველას მიხედვით, სინდისი მხოლოდ არასწორი საქციელის შედეგად მოგვრილი სულიერი უკმარისობის განცდა კი არ არის, არამედ ესაა ღვთისაგან ბოძებული ცნობიერება, შინაგანი ხმა, რომელიც თავს იჩენს არა მარტო დანაშაულის ჩადენის შემდეგ, არამედ მოქმედების განხორციელებამდე და სწორ მიმართულებას აძლევს ადამიანის ნებას.

პოეტის აზრით, ჭეშმარიტი სინდისის გრძნობა შეიძლება დაუპირისპირდეს საზოგადოების ზნეობრივ ცნობიერებას, მის კოლექტიურ სინდისს. სინდისის ფენომენის დახასიათების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა პიროვნებისა და საზოგადოების (თემის) ურთიერთობის პრობლმა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. პიროვნებისა და თემის დამოკიდებულების იდეა ვაჟას შემოქმედებაში ყველაზე ნათლად გადმოგვცემს პოეტის პირად ღირებულებებს,

რომლებიც განსაზრვრავენ მის მოფლმხედველობასა და შინაგან მრწამსს. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცა ,,სტუმარ-მასპინძელი, ,,ალუდა ქეთელაური“ და სხვ.

აღნიშნულ ნაწარმოებებში პოეტი თვალსაჩინოდ გვიხატავს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებულ დილემას. ვაჟა შესანიშნავად გვიხატავს ბრბოს ფსიქოლოგია. შურისძიების წყურვილით გონდაბინდული საზოგადოება უარყოფს თავისსავე ცხოვრების წესს და ძალის მეშვეობით ცდილობს პიროვნების თავისუფალი ნების დათრგუნვას. წნეხს არ უშინდება მხოლოდ დიდი სულიერი ძალის მატარებელი ადამიანი,რომლისთვისაც ზნეობრივ კანონს ნებისმიერ შემთხვევაში ოპერატორული მნიშნელობა აქვს. ,,ამ შემთხვევაში პიროვნება უმრავლესობის ნებაზე მაღლა საკუთარ ზნეობრივ ღირებულებას, სინდისის გრძნობას აყენებს.“ (მ. გაფინდაშვილი 1959: 138)

ამრიგად, ვაჟას მხოლოდ მისეული მსოფლმხედველობის ჭრილში აქვს განხილული და გადაწყვეტილი ადამიანი თავისუფლების, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის, სინდისისა და ზნეობრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულისა და საჯელის, სოციალურ ფენათა ურთიერთობის და სხვ. თემები. სწორედ აქ ჩანს ყველაზე ნათლად ვაჟას, როგორც დიდი მოაზროვნის და ჰუმანისტის გენიალური, ზოგადსაკაცობრიო იდეალები, პროვინციული დიალექტითა და ენით ვაჟამ ყველაზე ძლიერ შეძლო უნივერსალურის გადმოცემა და გამოხატვა, რაც მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათი ნიმუშია.

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭაჭავაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი მის პედაგოგიურ შეხედულებებს მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდისა და განვითარების შესახებ. ილიას მიაჩნია, რომ ადამიანის ადამიანურობა ზნეობით იზომება, მისი აზრით, ზნეობრივი აღზრდისადმი განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაა გამახვილებული, რომ იგი ერთ-ერთი მთავარი პირობაა ჰუმანური და დემოკრატიული საზოგადოების აშენებისათვის. ამიტომ მის

შეხედულებათა სისტემაში გამოკვეთილია მოწაფის გულში კეთილი და მოყვასის მხურვალე სიყვარულით აღზრდის იდეა.

ილია ჭავჭავაძის აზრით ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის, აუცილებელია მისი ,, ზნე-ხასიათს გაწვრთნა", რადგან იშვიათი როდია შემთხვევა, რომ კაცი გონებრივად განვითარებულია, მაგრამ ამავე დროს უზნეოა და ამდენად საზოგადოებისათვს ზედმეტი ბარგია. ამიტომაც აღნიშნავს ბრძენკაცი: ,, საკმაო არა არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიიღოს, ბევრი ცოდნა შეიძინოს, ამასთანავე იგი კაი-კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შესაძლებლობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლეობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი რამდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, ამდენად უფრო ძლიერად საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია" (ილია ჭავჭავაძე 1987: 88))

ამრიგად, ზნეობრივი აღზრდის ამოცანად ილია ჭავჭავაძე მიიჩნევს კეთილშობილი და წმინდა კაცური კაცისათვის დამახასიათებელი თვისებების ჩანერგვას.

ზნეობრივად სრულყოფილი დამიანის ერთ-ერთ ძირითად თვისებად ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და ჰუმანიზმი, კაცთმოყ-ვარეობა. მაგრამ ილიასათვის ადამიანის სიყვარული მარტო ეკონომიკური დახმარება და ქველმოქმედება როდია, არამედ ეს არის ადამიანისადმი მხარ-დაჭერა, მისი ძალებისადმი რწმენა, მისი პიროვნების აღიარება და პატივისცემა, საჭიროების შემთხვევაში კი მისთვის თავდადებაც. კეთილი სიტყვა, უფრო მეტი, კეთილი საქმე უნდა იყოს თვითეული ჩვენგანის მეგზური ცხოვრებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფრის მაქნისი ვიქნებით ქვეყნისათვის, ხალხისათვის, - ვერც ვერავის გავიტანთ და არც არავინ გაგვიტანს ,, სხვა შენთვის და შენ სხვითვის, აი, გზა ცხობრებისა" - ამბობს ,, გლახის ნაამბობის" ერთ-ერთი პერსონაჟი .

ამრიგად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული სიმძლავრით არის გაშუქებული მოზარდი თაობის ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდის იდეა, რომლის ქვაკუთხედად დიდ ბრძენკაცი ზნეობრივ აღზრდას მოიაზრებს. ბავშვის ზნეობრივ აღზრდაში ილია ხედავდა ერისა და ქვეყნის

წინსვილისა და განვითარების პერსპექტივას, ოროენტირს რომლისაკენაც უნდა ყოფილიყო მიმართული სკოლის, ოჯახის, საზოგადოების მთელი მცდელობა.

მიმაჩნია, რომ მოსწავლეთა ზნეობრივი განვითარებისა და აღზრდის შესახებ საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთი ცნობილი მოაზროვნეების შეხედულებებს მორალური განვითარების და აღზრდის შესახებ, როგორებიც არიან ჟან პიაჟე და ლოურენს კოლბერგი, რომელთა მოძღვრებებზეა დაუძნებული მოსწავლეზე ორიენტირებული თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა.

ჟან პიაჟეს მიხედვით ზნეობა -ეს არის ,, საზოგადოებრივი წესწყობილების ნორმებისადმი ინდივიდების პატივისცემა და მისი სამართლიანობის გრძნობა", სადაც ,, სამართლიანობა გაიგება, როგორც ადამიანთა ურთიერთშორის ურთიერთგაცვლაზე და თანასწორობაზე ზრუნვა". (მ. მელიქიშვილი 2012:13)

ჟან პიაჟეს მიხედვით, ბავშვებში მორალური გრძნობა ვითარდება მათი ასაკობრივი სტრუქტურების განვითარების, ურთიერთქმედების საფუძველზე, ბავშვების სოციალური გამოცდილების თანდათანობით გაფართოებასთან ერთად.

პიაჟეს მოძღვრების თანახმად, მორალური გრძნობების განვითარება ორ სტადის მოიცავს. ზნეობივი რეალიზმის სტადიაზე ბავშვები ფიქრობენ, რომ აუცილებელია ყველა წესის დაცვა, რადგან ისინი რეალური, ურღვევი პირობებია და არა აბსტრაქციული პრინციპები. ამ სტადიაზე ისინი ზნეობრივი ქცევების შესახებ მსჯელობენ ქვევების შედეგების საფუძველზე და არ შეუძლიათ შეაფასონ განზრახვები, ხოლო ზნეობრივი რელატივიზმის სტადიაზე მათ შესწევთ უნარი გაიაზრონ, რომ წესები ადამიანების მიერ იქმნება ურთიერშეთანხმების საფუძველზე და რომ აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მათი შეცვლა.

პიაჟეს თეორია განავითარა ლორუენს კოლბერგმა. კოლბერგის მიხედვით არსებობს მორალური განვითარების 6 სტადია, მარტივ პირველ სტადიაზე ბავშვი ორიენტირებულია დასჯაზე, დასჯის განრიდებასა და მორჩილების უზრუნველყოფაზე, მისი აზრით ცუდი საქციელია, რაც დასჯადია, ხოლო კარგია, რაც უფროსებიდან წახალისებას იმსახურებს. მეორე სტადიაზე მორალს მთლიანად განსაზღვრავს პირადი სარგებლიანობის მიღება ,, ჯერ თავო და მერე

სხვაო“ -ს მორალი, მესამე სტადიაზე ძირითადია საზოგადოების, უფროსების მხრიდან ქცევების მოწონება და აღიარება, მეოთხე სტადიაზე ზნეობა მიიღება, როგორც ხელისუფლებით და კანონით განმტკიცებული, მეხუთე სტადიაზე ზნეობა განიხილება საზოგადოებრივი ხელშეკრულების სახით და ის დაცული უნდა იყოს ამ საზოგადოების წევრების კეთილდღეობის გათვალისწინებით, მეექვსე სტადიაზე - ზნეობა ორიენტირებულია თავისუფალი სნიდისის კანონებზე, რაც, უნივერსალური ეთიკურ-მორალური პრინციპების შესაბამისად, განსაზღვრავს საკუთარ, იდივიდუალურ ქმედებას, რომელიც შესაძლებელია საერთოდ არ ემთხვეოდეს სახელწიფოში და საზოგადოებაში მიღებულ ზნეობრივ ნორმებსა და ტრადიციებს. მოქმედებას საკუთარი უნივერსალური ეთიკური და ზნეობრივი მრწამსიდან გამომდინარე. (მ. მელიქიშვილი 2012;17;18).

3. ზნეობრივი აღზრდის იდეა კლასიკოს პედაგოგთა მემკვიდრეობაში, მისი მიზანი და ამოცანები.

ზნეობრივი აღზრდის როლისა დანიშნულების შესახებ კითხვები პიროვნების გავითარებისა და ჩამოყალიბების თვალსაზრიშით უძველესი დრიდან წარმოიშვა. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ისინი ძირითადად დაკავშირებული არიან იმ ფაქტთან, რომ ზნეობრივი განათლება უზრუნველყოფს პიროვნების ჰარმონიურ, ყოველმხრივ განვითარებას და ამდენად ხალხთა ურთიერთობის კეთილსინდისიერ და მეგობრულ დამოკიდებულებას.

მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული მასწავლებლის, აღმზრდელის როლის და დანიშნულების პრობლემასთნ.

ამიტომაა საყოველთად მიღებული შეხედულება, რომ მასწავლებელი იმთავითვე გახდა საზოგადოების თვალი, ცოდნის, პიროვნული პატიოსნებისა და კულტურის, შეგნებისა და სინათლის, ნათელის (განათლების) გადამცემი თაობ-ებზე და ამით დაამკვიდრა ყველაზე საპატიო ადგილი მზისქვეშეთში. ბავშვის გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ფიზიკურ, შრომით უნარ-ჩვევათა განვითარებისა და ჩამოყალიბების თვალსაზრისით მასწავლებელს თავიდანვე დაეკისრა განსაკუთებული მოვალეობა და პასუხისმგებლობა. მასწავლებელს დღემდე ურთულესი მისია აქვს აღებული - ახალგაზრდობის ჩამოყალიბება კეთილსინდისიერ, მორალურად სუფთა, კაცთმოყვარე, განათლებულ და კულტურულ პიროვნებებად, ღირსეულ ადამიანებად, რომლებიც შეძლებენ საზოგადოებაში არსებული პრობლემების ეფექტიანად გადაჭრას. ამ მიზნით მასწავლებელი ასრულებს საგანმანათლებლო-სასწავლო, განმავითარებელ, აღმზრდელობით და საზგადოებრივ- პედაგოგიურ ფუქციებს. აქედან გამომდინარე თუ როგორი იქნება ქვეყნისა და ხალხის, საზოგადოების მომავალი, ხვალინდელი დღე ბევრადაა დამოკიდებული მასწავლებლის მუშაობაზე, მის მაღალ პროფესიონალიზმზე და საკუთარი მოვალების კელილსინდისიერ შესრულებაზე.

იან ამოს კომენსკი სამართლინად ითვლება პედაგოგიკის მეცნირების ფუძემდებლად, ,,მასწავლებელთა მასწავლებლად", იან ამოს კომენსკი სწავლ-ებისა და აღზრდის ცენტრალურ ფიგურად აცხადებს მასწავლებელს, რომელის სკოლაში, ,, ადამიანობის სახელოსნოში" საზოგადოებას უწვრთნის ღირსეულ მომ-ავალ თაობას.

იან ამოს კომენსკიმ ნაშრომით ,, დიდი დიდაქტიკა" შემოიტანა საყოველთაო, პანსოფიური, სრული განათლების იდეა, რითაც სწავლება დაუკავშირა რეალური ცხოვრების სინამდვილეს. მანვე დახვეწა და პედაგოგიკურ პრინციპად დასახა დემოკრიტეს აღზრდის ბუნების შესაბამისობის იდეა, რითაც ხაზს უსვამს მასწავლებლის, აღმზრდელის მოღვაწეობას, აღზრდის როლს, მის გარდამქმნელ ძალას ადამიანის პიროვნებად ფორმირებაში, რადგან ,, არაფერი არაა უფრო ბუნებრივი, ვიდრე ის, რომ უკანმიმავალნი წინმიმავლის კვალს მიჰყვებოდნენ" (მალაზონია 2001 : 15)

ის ხაზგასმით ამახვილებდა ყურადღებას, რომ ბავშვს სწავლის ინტერესი, გრძნობის, გონებისა და რწმენის გამოყენებით უნდა გავუღვიძოთ, ამის შესახებ ის წერდა: ,,საჭიროა, იმის მიღწევა, რომ მოსწავლეს არაფერი შეხვდეს ამქვეყნად ისეთი, რაზედაც მათ არ ექნებათ მათი მოკრძალებული შეხედულების შექმნის შესაძლებლობა და რის გამოყენებასაც ისინი გონებრივად ვერ შეძლებენ. (მალაზონია 2001:23)

იან ამოს კომენსკის იდეა განათლების, აღზდის ბუნების შესაბამისობის შესახებ ადგილს არ უტოვებდა სკოლაში ძალადობის, უხეშობის გამოვლენას. მისი კონცეფციაა--ნუ აიძულებ ბავშვებს სწავლას, ამით ვრაფერს მიაღწევ სწავლამ ბავშვებში უნდა აღძრას სწავლის სურვილი, ინტერესი - კომენსკიმ ამ თვალსაზრისით პირველმა ჩამოაყალიბა აღზრდისა და განათლების ბუნების შესაბამისობის კანონი. ამ კანონის თანახმად ადამიანი ბუნების ნაწილია და უნდა დაიცვას მისი განვითარების კანონები, რომლის განხორციელებაში გამწყვეტი როლი მასწავლებელს ეკისრება. ამოტომ მასწავლებელი უნდა იყოს:

აქტიური

უაღრესად მორალური
ენციკლოპედიური განათლებით
უყვარდეს ბაშვები
გაითვალისწინოს მათი ინტერესები.

დიდი ინგლისელი განმანათლებელი და პედაგოგი ჯონ ლოკი უარყოფს კლასიკურ განათლებას და უპირატესობას ანიჭებს რეალურ განათლებას, მასწავლებლის უნარს, მოსწავლე შეიარაღოს სასარგებლო, პრაქტიკული ცოდნით და ამით ხელი შეუწყოს განვითარებული, პროგრესული საზოგადოების ფორმირების პროცესს. მისი პედაგოგირი თეორიისათვის დამახასიათებელია უტილიტარიზმი (სარგებლიანობის) პრინციპი, სწავლული სასტიკი წინააღმდეგია სწავლების ცხოვრებისაგან მოწყვეტისა, ამით გვაძლევს თეორიისა და პრაქტიკის ერთანობის პედაგოგიურ იდეას, რასაც თანამედროვე პედაგოგიკა ცოდნის გადატანას, გამოყენებას ანუ ტრანსფერს ეძახის.

ჯომ ლოკი ნაშრომში ,, ცდა ადამიანის გონების შესახებ“ ჯონ ლოკიმ დაასაბუთა, რომ ადამიანის ცხოვრებაში არ არსებობს თანდაყოლილი იდეები და წარმოდგენები. ბავშვის სული ,,სუფთა დაფაა“ აღზრდა-განათლების, მასწავლ-ებლის მოღვაწეობის როლი გადამწყვეტია სასარგებლო პიროვნებებით საზოგა-დოების დაკომპლექტებაში.

ნაშრომში ,, ფიქრები აღზრდის შესახებ“ ჯონ ლოკი გვთავაზობს ჯენტლმენის აღზრდის პრინციპებს და მეთოდებს. იგი ხელმძღვანელობს ფორმულით ,, ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულშია“ , აღზრდის მიზნად ასახელებს პირივნების ჰარმონიული განვითარების იდეას.

ჯონ ლოკის ე.წ. ,, ელიტარული პედაგოგიკა“ არ ითვალისწინებს მასობრივ, საყოველთაო განათლებას, განათლების ხელმისაწვდომობას მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, იგი ორიენტირებულია მხოლოდ ჯენტლმენის აღზრდაზე, რადგან ასეთი მიდგომა მიაჩნია ღირსეული, პროგრესიული, საზოგადოების მთავარ წინაპირობად. ამ მიდგომის ზოგადი ნაკლი ბუნრბივია აიხსნება იმ

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ვითარებით, რომელშიც ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა მოაზროვნეს. (გობრონიძე 2000:69)

ცნობილი პედაგოგის ჰენრიხ პესტალოცის მიხედვით, აღზდის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ განავითაროს ადამიანის ყველა ბუნებრივი ძალა და უნარი, ამასთან პიროვნების განვითარება ჰარონიული და ყოველმხრივი უნდა იყოს. ჰ. პესტალოცის აზრით აღზრდის მიზანია სათნო, მორალურად სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბება, რომლის ჩამოყალიბებაში გასამწყვეტ როლს ასრულებს ენა, სახელდობრ დედა ენა: დედა ენა მისი აზრით მარტო აზრების გამოხატვის საშუალებას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი აზროვნების, მგრძნობელობის, გულის უსათუთესი განცდების თანამონაწილეა და ამდენად მორალური განვითარების მძლავრი ბერკეტი, ხოლო ბავშვის განვითარების ყველაზე საიმედო კერა დემოკრატიულად მოწყობილი სახალხო სკოლაა. (უ. ობოლაძე 1977: 64)

ჰ. პესტალოცი დედა ენას თვლიდა ბაშვისთვის მშობლიურად სწავლებისა და აღზრდის პროცესში და ამის შესახებ წერდა: ,, ბავშვის სულიერნი ძალნი შორეულზედ, უცხოზედ არ უნდა ავარჯიშონო, ვიდრე ძირი არ გაჰმაგრებიათ და არ განათლებულან იმაზედ ვარჯიშობითა, რაც მახლობელია ბავშვისა, რაც გარს არტყია, რაც ბავშვისთვის ღვიძლი და თავისიანია, ,, პირველ-დაწყებითის ცოდნის მოედნად უნდა იყოს სამშობლო“ (გ. ჯიბლაძე 1976:12)

ამრიგად, სახალხო სკოლის დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნების, საკოლო სწავლების ხალხის ინტერესებისადმი დაქვემდებარებისა და ცოდნის საქმის სააღმზრდელო საქმესთან შეხამების სფეროში მართლაც რომ განსაკუთრებულია ჰ. პესტალოცის როლი და სავსებით სამართლიანდ ითვლება ის სახალახო სკოლის მამად.

ფრიდრიხ დისტერვეგი ადამიანური აღზრდის იდეის მიმდევარია. იგი აღზრდას თვლიდა ისეთ თვითმოქმედებას, რომელიც ჭეშმარიტებას, სილამაზესა და სიკეთეს ემსახურება, ხოლო მოზარდში ასეთ მორალური გრძნობებისა და ცნობიერების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლსა და მნიშვნელობას სახალხო სკოლას ანიჭერბდა დედა ენის სწავლების დანერგვის პრინციპის შესაბამისად.

ფ.. დისტერვერგი მოითხოვდა ,, ოსტატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ენას, რომელსაც ყმაწვილები ხმარობენ სკოლაში შესვლის დროს. ახალი უნდა აიხსნას ძველის შემწეობით, უცნობი - ცნობილით, სხვა გზა არ არის, სხვა ღონე და საშუალება შეუძლებელი საქმეა.“ ,, კაცს გულში გამოუკვანძეთ მისი პატარა სამშობლო, გზა გაუხსენით, რომ არამც თუ შეისწავლოს, არამედ შეიყვაროს იგი სამშობლო, მისი განსხვავებული თვისება, მისი განსხვავებული ხასიათი“ (გ. ჯიბლაძე 1977: 13)

რუსული კლასიკური პედაგოგიკის ფუზემდებელი კ. უშინსკი აღზრდის მიზნად ისახავდა სრულყოფილი, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის მომზადებს. კ. უშინსკი პედაგოგიკაში ამკვიდრებს აღზრდის ხალხურობის პრინციპს, რაც არსებითად ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელებას მოითხოვდა.

კ. უშინსკის აზრით პედაგოგმა სწავლება და აღზრდრა უნდა წარმართოს მშობლიურ-დედა- ენაზე, მშობელი ერის, მშობლიური კულტურის სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით, ეროვნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტრადიციების მაქსიმალური გათვალისწინებით.

კ. უშინსკი ნაშრომში ,,ადამიანი, როგორც აღზრდის საგანი“, წერდა რომ მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, სიღრმისეულად შევისწავლოთ იგი, მისი საჭიროებები, საფუძვლიანად ვერკვეოდეთ პედაგოგიური აღზრდის თეორიაში და პრაქტიკაში.

კონსტანტინე უშინსკის აზრით, მასწავლებელი თვითონ უაღრესად კარგად უნდა ერკვეოდეს სწავლებისა და აღზრდის საკითხებში, თვითონ უნდა იყოს დაჯილდოვებული ყველა იმ თვისებით, რომლის აღზრდაც მოსწავლეებში სურს. უპირველესად უნდა გამოირჩეოდეს საგნის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით, გააჩნდეს ნამდვილი ადამიანური, ჰუმანური იდეები და შეხედულებები, რათა მან შეძლოს ,, ადამიანში ადამიანის აღზრდა“

უაღრესად საინტერესოა და დღემდე აქტუალურია კ. უშინსკის შეხდულებებიმოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების თავისებურების გათვალ-ისწინების

აუცილებლობაზე სწავლა-აღზრდის პროცეში, ის საგანგებოდ ამახვილებს ყრადღებას ამ მნიშნელოვანი ფაქტორის თავისებურებების ზეგავლენას მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

კ. უშინსკის სწავლის პროცესი წარმუდგენლად მიაჩნდა თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე და მას მოსწავლის აღმზრდელობით ჭრილში განიხილავდა. იგი მიუთითებდა იმ დიდ ძალაზე, რომელიც თვალსაჩინობის გამოყენებას ახლდა მოსწავლე-მასწავლებლის უთიერთობის სფეროში და ამდენად მოსწავლის მორალურ განვითარებაში, ადამიანთა შორის ურთიერთობის მოწესრიგებაში. (ა. გობრონიძე 2000:140)

მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა დიდმა პედაგოგმა, პედაგოგიური აზროვნების ნოვატორმა ა. მაკარენკომ ღრმად შეისწავლა კ. უშინსკის პედაგოგიური მემკვიდრეობა და განახორციელა მსოფლიო მნიშვნელობის პედაგოგიური ექსპერიმენტები, რომელთა საფუძველზე აღმოაჩინა და დაადგინა პედაგოგიკაში ჰუმანიზმზე დამყარებული მთავარი პედაგოგიური პრინციპი - რაც შეიძლება მეტი მოთხოვნილება ბავშვის პიროვნებისადმი და რაც შეიძლება მეტი პატივისცემა მისი პიროვნების ღირსებას.

ა. მაკარენკოს უნიკალური განათლების სისტემა, რომელიც მან დანერგა ბავშვთა კოლონიებში, რომლითაც მან სამი ათასი ქუჩის შვილის აღზრდა შეძლო, დააყენა პატიოსანი ცხოვრების გზაზე, აქცია ქვეყნისა და საზოგადოების ჭეშმარიტ შვილებად, ჩამოუყალიბა მაღალი მორალური თვისებები და ღირებულებები. ასეთის ანალოგს არ იცნობდა და არ იცნობს პედაგოგიკის ისტორია. ამ სისტემის განათლების ძირითადი მიზანი იყო ბავშვთა კოლექტიური ფორმირება, პირადი პასუხისმგებლობა.

ა. მაკარენკოს აღზრდის კონცეფციის თანახმად განათლებისა და აღზრდის მიზანია ბავშვის ადაპტაცია მიმდინარე რეალობაში, სისტემატიური

თვითკონტროლი და პასუხისმგებლობა, მათი უფლებებისა და მოვალეობების გაგება-გააზრება, ცხოვრების კოლექტიური წესი, თანატოლთა ურთიერთდ-ამოკიდებულება, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ სოციალურ გარემოში--აი, ის არასრული ჩამონათვალი, რომელთა გათვალისწინებითაც მან შექმნა აღზრდის საკუთარი, სპეციფიკური სისტემა.

მან კოლონიაში ფართოდ დანერგა მოზარდთა შრომითი აღზდის სისტემა, რომელიც ორგანულ კავშირში იყო მორალურ განვითარებასთან - მოსწავლეები ასაკის შესაბამისად ფიზიკურად მუშაობდნენ სოფლის მინდვრებში, ახლო მდებარე საწარმოებში, ისინი თავისებური თვითდახმარების საწარმოები იყვნენ, გამოიმუშავებდნენ თნხას, რომელიც მათ პირად ანგარიშებზე ერიცხებოდათ.

მაკარენკოს მიაჩნდა, რომ ბავშვთა შრომითი უნარ -ჩვევების ჩამოყალიბება მათი მორალური აღზრდის საუკეთესო გზა იყო. მან გაამდიდრა კლასიკური პედაგოგიკა ახალი მეთოდებით მორალური აღზრდის შესახებ. (ა. გობრონიძე 200:44)

ა. მაკარენკო, როგორც ნოვატორი პედაგოგი მხარს უჭერდა გუნდში კომფორტული ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას, რომელიც თვით ბავშვს მისცემდა უსაფრთხოებისა და თავისუფლების მოქმედების გავითარების შესაძლებლობას.

ა.მაკარენკო, როგორც შორსმჭვრეტელი პედაგოგი, მიიჩნევს რომ აღზრდის პროდუქტი ყველაზე ნათლად მომავლ დროში გამოჩნდება. საინტერესოა ამ თვალსაზრისით მისი ჩანაწერი: მომმართეს ცნობილმა პროფესორებმა მონაწილეობა მიმეღო პედაგოგიკის სახელმძრვანელოს შექმნაში, მე მათ ვკითხე - დღევანდელი დღის პედაგოგიკას დავწერდით თუ ხვალინდელი დღისას?. მათ მიპასუხეს, რომ არ შეუძლიათ ხვალინდელი დღის პედაგოგიკის დაწერა.“ მაშინ მე ვუთხარი: ვიდრე თქვენ დღევანდელი დღის პედაგოგიკის დაწერას მოათავებთ, ცხოვრება გაგისწრებთ და ამის შემდეგ დაწერილი აღმოგაჩნდებათ არა დღევანდელი, არამედ გუშინდელი დღის პედაგოგიკა -მეთქი. (ა.გობრონიძე 2000: 148)

აქედან გამიმდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდი პედაგოგის აზრით, ზნეობრივი აღზრდის პროცესი არ შეიძლება შემოიფარგლოს იმით, რომ ახალგაზრდობა ვაზიაროთ იმ ღირებულებებსა და ნიშან-თვისებებთ, რომელშიც ამჟამად ვცხოვრობთ, არამედ მოსწავლის ზნეობრივი ნორმები უნდა პასუხობდეს მომავალი საზოგადობის სტანდარტებს, წინ უსწრებდეს ახლანდელს, გაანგარშებული უნდა იყოს მომავალზე. ,, პიროვნების დაპროექტება, წერდა პედაგოგი - როგორც აღზრდის პროდუქციას, უნდა წარმოებდეს საზოგადოების დაკვეთის საუძველზე“ (ა.გობრონიძე 2000:206)

ა. მაკარენკომ დაამუშავა პედაგოგიური ოპტიმიზმის მწყობრი თეორია, რომელსაც ,, პერსპექტიული ხაზები“ უწოდა. ადამიანი ცხოვრების ჭეშმარიტი სტიმული, წერდა ის, ეს არის ხვალინდელი დღის სიხარული, პედაგოგიურ ტექნიკაში, ის ხვალინდელი სიხარული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ობიექტია. დასაწყისში საჭიროა თვით სიხარულის ორგანიზაცია, რათა დავნერგოთ იგი ცხოვრებაში, როგორც რეალობა. მეორე, საჭიროა, უფრო მარტივი სიხარული ვაქციოთ რთულ, ადამიანური მნიშვნელობის სიხარულად ... ხვალინდელი დღე აუცილებლად უნდა იყოს დღევანდელზე უკეთესი, რაც უფო მაღალია მოსწავლეთა ასაკი, მით უფრო, შორს უნდა გადაიწიოს უახლოესი ოპტიმალური პერსპექტივის აუცილებელი ზღვარი.“ (ა. გობრომიძე 2000: 150)

ზნებრივი აღზრდის იდეამ შემდგომი განვითარება ჰპოვა დიდი პედაგოგის ვ. სუხომლინსკის პედაგოგიურ მემკვიდრეობასი. ვ. სუხომლინსკი შემოქმედებითად ავითარებს პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების იდეას და ამდიდრებს მას არაერთი საყურადღებო მიგნებებითა და აღმოჩენებით. ვ. სუხომლინსკის მიაჩნია, რომ ზნეობრივი აღზრდის პროცესი ეს არის მიზნმიმართულ და თანმიმდევრულ ურთიერთმოქმედებათა ერთობლიობა აღზრდის ობიექტსა და სუბიექტზე. იგი მიმართულია მოსწავლის ზნეობრივი განვითარების გარკვეული დონის მიღწევისაკენ თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისად, მომავლის იდეალის გათვალისწინებით.

ზნეობრივი აღზრდა წარმოადგენს საერთო პედაგოგიური პროცესის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც გააჩნია მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებული ორი მხარე: აღმზრდელობითი ზემოქმედების წყაროები და ამ გავლენით გამოწვეული შინაგანი და გარეგანი ცვლილებები. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნავს ა. სუხომლინსკი - ზნეობრივი აღზრდის შედეგები თავის გამოხატულებას პოულობენ პიროვნების მორალურ თვისებებში, ხასიათის ნიშნებში, ყოველდღიურ ყოფაქცევაში. ზნეობრივი აღზრდა გულისხმობს მოსწავლეთა შეიარაღებას მორალის ნორმებისა და წესების ცოდნით, მოიცავს მოსწავლეებში ზნეობრივი ცნებებისა და რწმენის ჩამოყალიბებას. (ნ. ბასილაძე 1998)

ვ. სუხომლინსკი განსაკუთრებულ ყურადღებას ზნეობრივ აღზრდაში ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მისი რთული და მრავალწახნაგა ამოცანები ერთბაშად არ წყდება. მოსწავლეები თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ითვისებენ მორალის წესებსა და ნორმებს, თანდათან იძენენ ყოფაქცევის ჩვევებსა და ჩვეულებებს, ავითარებენ ზნეობრივ გრძნობებს, აწრთობენ ზნეობრივ ხასიათსა და ნებისყოფას. ზნეობრივი აღზრდის პროცესის მორალური გრძნობები მთლიანი პიროვნების ცალკეულ ნიშნებად წარმოგვიდგება. ეს თვიესებები ვითარდება მჭიდრო ურთიერთკავშირსი. - შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება ხელს უწყობს ისეთი თვისებების განვითარებას, როგორიცაა დისციპლინა, ორგანიზებულობა, სოციალური უნარ-ჩვევები, კოლიექტივიზმი, რაც თავის მხრივ ბადებს მეგობრობის, ჰუმანიზმის, ერთმანეთის ნდობისა და პატივისცემის განწყობას. (ნ. ბასილაძე 1998)

ვ. სუხომლინსკი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის საქმეში განსაკუთრ-ებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსწავლეთა უნარებისა და მიდრეკილებების განვითარების საკითხს, როგორც ზნეობრივი აღზრდის არსებით ფაქტორს. იგი ხაზს უსვამდა, ჩვენი პედაგოგიკა უნდა იყოს მოსწავლეთა მრავალფეროვანი ნიჭისა და შემოქმედებით უნარების გამოვლენისა და გავითარების პედაგოგიკა. ამის საფუძველზე შესაძლებელია მოსწავლეთა მაღალი გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა. (ნ. ბასილაძე 1998)

მოსწვლეთა ზნეობრივ აღზრდაში განსაკუთრებით დიდია მასწავლებლის პირადი როლი და გავლენა, რომელშიც კონცენტრირებული უნდა იყოს მოსწავლის მიმართ ნდობა, პატივისცემა, სიყვარილი და ჰუმანიზმი, აქედან გამიმდინარეობს ჰუმანიზმზე დამყარებული მთავარი პედაგოგიური პრინციპი - რაც შეიძლება მეტი მომთხოვნელობა ბავშვის პიროვნებისადმი და რაც შეიძლება მეტი პატივისცემა მისი პირივნების ღირსებისადმი.

მინდა ყურადღება გავამახვილო იმ ფაქტორზე, რომ მასწავლებლისაგან მოსწავლის

სიყვარულის მოთხოვნა სრულებითაც არ ნიშნავს მოზარდთა მიმართ ყველაფრის მიტევებას და პატიებას. მასწავლებლის ჰუმანიზმი აქტიური, ქმედითი ხასიათისაა. ამასთან დაკავშირებით ვ. სუხომლინსკი მართებულად წერდა: ,,ახალგაზრდობის გულში დადებით შეხედულებათა დანერგავა შეუძლებელია ვნებათა წვის, ბოროტების, უსამართლობის, უპრინციპობისა და ადამიანური ღირსების დამცირებისადმი მხურვალე, დაუნდობელი, შეურიგებელი ბრძოლის გარეშე. სიკეთე და მშვენიერება, ზნეობრივი ღირსება და დიდება მაშინ ეუფლება ახალგაზრდათა გულს, როცა მათ მე ვუნერგავ განსაკუთრებულ მგრძნობელობას ბოროტების მიმართ, შინაგან მზადყოფნას იმათთვის, რომ არა მარტო არ დაუშვან თავიანთ გულებში ზნეობრივი მანკი, არამედ იყვნენ ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლნი...მე ვასწავლი მოზარდებს და ყმაწვილებს იცხოვრონ ადამიანებისათვის და მასთან ერთად სძულდეთ უხერხემლობა, ეგოიზმი, ტყავში ძვრომა (ა.გობრონიძე 2000:300)

ჩემი მოკრძალებული შეხედულებით, პედაგოგიური აზროვნების კორიფეთა შორის საპატიო ადგილს იკავებენ გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეები და პედაგოგები დიმიტრი უზნაძე და შალვა ამონაშვილი. მინდა მოკლედ შევეხო თითოეული მათგანის პედაგოგირ მემკვიდრეობას და მათ ნააზრევს მოზარდი თაობის ზნებრივი აღზრდისა და ზოგადად პიროვნების მრავალმხრივი, ჰარმონიულული განვითარების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია დიმიტრი უზნაძე სამართლიანად ითვლება მსოფლიოში აღიარებული განწყობის თეორიის ავტორად, რომლის მიხედვითაც მასწავლებელმა სასწავლო აქტივობების დაგეგმვისას მოსწავლის ინტერესები, სურვილები და შეაძლებლობები უნდა გაითვალისწინოს, ამასთან ერთად აქტივობები მოსწავლის კოგნიტური განვითარების დონეს უნდა შეესაბამებოდეს და მის შემდგომ წინსვლას უწყობდეს ხელს.

ამის თაობაზე დ. უზნაძე ხაზგასმით აღნიშნავდა ,, სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არ აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას.“ (ესგ თავსართი)

ამიტომ დ. უზნაძეს მიაჩნია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი ისე უნდა იყოს აგებული, რომ მოსწავლემ ადამიანის ერთ-ერთი ძირითად მოთხოვნილება -ინტელექტუალური მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ამიტომ მასწავლებელმა საკლასო ოთახში უდა შექმნას მოსწავლის განვითარების წამახალისებელი სასწავლო გარემო, გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება სწავლის, მოსწავლეთა ინტერესებისა და სურვილების მოთხვნილებების დაკმაყოფილებაზე და აქედან გამომდინარე ხელს შეუწყობს მის მთლიან პიროვნულ განვითარებას, მთლიან პიროვნულ მზაობას მისი შემოქმედებითი ძალების გახსნა-რეალიზაციას.

(სწავლებისა და განვითარების თეორიები 2008:69;70) . აღსანიშნავია, რომ დ. უზნაძის პედაგოგიური შეხედულებების საუძველს უშუალო პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა შეადგენდა. მან 1916 წელს დაარსა ქალთა სკოლა, სადაც პარაქტიკულად განახორციელა ზოგიერთი იდეა. თეორიული მოსაზრებების პრაქტიკულად განხორციელებამ დ. უზნაძე მიიყვანა რიგ ახლ აღმოჩენებამდე. რაშია მისი პედაგოგიური კონცეფციის არსი?. პედაგოგიკის საგანს აღნიშნავს დიდი მოაზროვნე- წარმოადგენს აღზრდა, თანაც არა ერთი რომელიმე კონკრეტული მიმართულებით, არამედ პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული

განვითარება და სრულყოფა ანუ სწრაფვა იდეალურისაკენ, ,, საკუთარი ცხოვრებისა და სხვისი ცხოვრების ფორმაციის მიზნდასახული პროცესი.“ (სწავლებისა და გავითარების თეორიები 2008: 64)

სრულყოფილების ამ სწრაფვაში პიროვნება ცდილობს, ისე გარდასახოს სამყარო, რომ შექმნას კეთილდღეობის მაქიმალური პირობები და მოახდინოს მისი პიროვნული სრულყოფა. წარსულიდან გამომდინარე, ადამიანი აგებს მომავლის გეგმებს. მომავლის ბედი მის ხელთაა და თუ იგი ჰუმანური იდეალებით ხელმძღვანელობს, აღზრდის პროცესს ის მიმართულება მიეცემა, რომელსაც ეს იდეალები კარნახობს. აღზრდა დ. უზნაზის პედაგოგიური კონცეფციის მიხედვით, სოციალური პროცესია, რამდენადაც ადამიანი თავისი შინაგანი ბუნებით სოციალური არსებაა, მაგრამ აღზრდის პროდუქტს, მისი აზრით ბავშვი წარმოადგენდა - ამიტომ აღმზრელი ვერ მიაღწევს თავის მიზანს, თუ არ ჩასწვდა ბავშვის შინაგან ბუნებას. სწორედ ამიტომ პედაგოგიკა ეფუძნება ბავშვის ფსიქოლოგიური არსის შემეცნებას.

აღზრდის მიზანთა სოციალური ბუნების აღიარებას დ. უზნაზე მიჰყავს აღმზრდელობითი პროცესის მთავარი წინააღმდეგობის აღმოჩენამდე, რომელსაც მან ,, აღზრდის ტრაგედია“ უწოდა. უფსკრული აღმზდელსა და აღსაზრდელს შორის ჩნდება იმიტომ, რომ წარმოიშობა განსხვავებული ზნეობრივი ღირებ-ულებები, განსხვავებული ღირებულებები კი განაპირობებს განსხვავებული მისწრაფებების წარმოშობას. აღმზრდელი, როგორც გარკვეული სოციალური მისწარფებების მატარებელი, ფიქრობს, რომ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს რა მოზარდის კეთილდღეობის სურვილით, თავად ღებულობს გადაწყვეტილებებს მოზარდის მომავლის განსაზღვრის შესახებ, რითაც სინამდვილეში ყურადღებას არ აქცევს მოზარდის სურვილებს, ინტერესსა და მისწრაფებებს, მის ინდივიდუალურ თვისებებსა და შესაძლებლობებს. ის, რაც აღმზრდელის აზრით, კეთილდღეობას წარმოადგენს, აღსაზრდელებისათვის ხშირად ტრაგედიად იქცევაო -წერს დ. უზნაძე.

,,აღზრდის ტრაგედიის“ გადალახვაში, უეჭველია, გადამწყვეტი როლი სწორედ მასწავლებელმა უნდა შეასრულოს. მასწავლებელს, რომელსაც ძალუძს ,, ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში წვდომა“, პედაგოგიური პროცესის ძირითად პირობას წარმოადგენს სწორედ ბავშვის ბუნების ღრმად შესწავლა, მისი გრძნობებისადმი, ,,სულიერი მღელვარებისადმი“ თანადგონა, მისი ინტერესებისა და სურვილების გადანაწილება- დაკმაყოფილება--აი გზა პიროვნული განვითარებისა და სრულყოფისაკენ , მოზარდის ზნეობრი-მორალური სახის ჩამოყალიბებისაკენ (სწავლებისა და განვითარების თეორიები 2008: 65) აქედან გამომდინარე ,,აღზრდის ტრაგედიის“ ფენომენი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მოსწავლის მორალურ განვითარებას, აფერხებს და ხელს უშლის მისი რეალური შესაძლებლობების გამოვლენა-რეალიზებას, კლავს პიროვნებას, თავისი ინდივიდუალური ინტერესებითა და სურვილებით, ამდენად ვერ ხერხდება მოსწავლის სრულყოფილი ზნეობრივ-ეთიკური განვითარება.

პედაგოგიური პროცესი ნორმალურად რომ წარიმართოს აუცილებელია მოიხნას წინააღმდეგობა აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის, რომლის დაძლევა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ნაკლები იქნება იძულება, როგოც მეთოდი, როცა გავითვალისწინებთ აღსაზრდელში თავისუფალი არჩევანის პოტენ-ციალს, დავინახავთ და შევაფასებთ მას პიროვნებას თავისი ინდივიდიალური, უნიკალური შესაძლებლობებითა მისწრაფებებით, გასაქანი მიეცემა აზრთა პლურალიზმსა და მოსწავლეს თანდათან მივიყვანთ საკუთარი მისწრაფებების შესრულებამდე. ამის შესრულება შეუძლია ჰუმანისტ, ოპტიმისტ, მოსწავლის სულიერი სამყაროს ლაბირინთებში შემღწევ მასწავლებელს.

მეოცე საუკუნის პედაგოგირი აზროვნების განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ცნობილ ქარველ პედაგოგსა და ახლი ჰუმანისტური სკოლის ბრწინვალე წარმომადგენელს შ. ამონაშვილს. ქართული პედაგოგიკური ცის კაბადონზე ახალი ვარსკვლავი ამობრწინდა, რომლის სიკაშკაშემ თვალი მოსჭრა ყველას: იმათ, ვინც სიხარულით შეხვდა მის გამოჩენას, და იმათაც, ვინც შიშითა და ბოღმით აივსო. (ა.გობრონიძე 2000 : 304)

საინტერესო იყო რა ახარებდათ ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, რა აშინებდათ, ახალი პედაგოგიური ვარსკლავის გამოჩენის მომსწრე და მონაწილე ადამიანებს?

სკოლისა და საერთოდ განათლების საკითხებით დაინტერესებულ გულშემატკივრებს იმედი მიეცათ, რომ ახალი პედაგოგირური იდების გაჩენა და დაბადება ერთბაშად თუ ვერ შეცვლიდა, შეარყევდა მაინც, იმ რუტინას, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწვა ე.წ. საბჭოურ განათლების სისტემას; ჩვენს ბავშვს ერთბაშად თუ ვერ აჩუქებდა ,,სიხარული სკოლას'' და ალტერნატივა მაინც გაუჩნდა ,,უნდას" პედაგოგიკას და ,, აღზრდის ძირითადი ტრაგედიაც" იქნებ შესუსტებულიყო.

საქმე ეხებოდა პედაგოგირი აზროვნების ჭეშმარიტ ზეიმს, ჰუმანური პედაგოგიკის აზროვნების ახალ დაბადებას საქართველოში შ. ამონაშვილის პედაგოგიური იდეების სახით.

შ. ამონაშვილის პედაგოგიური იდეები რადიკალურ ცვლილებებს გულისხმობდა

პედაგოგიურ თეორიასა და პრაქტიკაში, რაც საფრთხეს უქმნიდა ე. წ. ,,პედაგოგიურ სტაბილურობაზე" დაფუძნებულ, დაოსებულ და დახავსებულ საბჭოურ განათლების

სისტემას. მან გასული საუკუნის 60 -იან წლებში შეიმუშავა კონცეფცია ჰუმანურ-პედაგოგიურ საწყისებზე აღზრდის შესახებ და დაწყებით კლასებში დაიწყო კიდეც

მისი პრაქტიკული განხორციელება. მალე მისი სახელი ცნობილი გახდა საბჭოეთში და მის საზღვრებს გარეთაც, გამოჩნდა უამრავი მხარდამჭერი , მოდიოდა უამრავი დაინტერესებული პირი იმდროინდელ თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში შ. ამონაშვლისა და სხვათა ჯადოსნური გაკვეთილების სანახავად და გამოცდილების გასაზიარებლად.

შ. ამონაშვილის პედაგოგიური იდეები გადმოცემულია მის წიგნებში ,, სწავლება, შეფასება ნიშანი.", ,, გამარჯობათ, ბავშვებო", ,, როგორ ცხოვრობთ ბავშვებო" ,, პედაგოგუირი სიმფონია" და სხვ. , რომლებშიც საფუძვლიანადაა

დასაბუთებული აღმზრდელობითი მუშაობის მაგისტრალურ ხაზი - ბავშვებთან დადებითი მორალური ზემოქმედების მოხდენა შესაძლებელია მხოლოდ ჰუმანური პედაგოგიკის პოზიციებიდან, საზოგადოების დეჰუმანიზაციისა და ზნეობრივი იდეალების დეფიციტის დამანგრეველ ძალას მხოლოდ ჰუმანური პედაგოგიკა და მის პრინციპებზე აღზრდილი მომავალი თაობა თუ შეაჩერებს.

შ. ამონაშვილი ფიქრისა და ზრუნვის საგანია მორალურად სრულყოფილი მომავალი თაობის აღზრდა, ის სავსებით სამართლიანად და გულისტკივილით აღნიშნავს, ,,რატომ არიან დედამიწაზე და ჩვენს საზოგადოებაში ბოროტები, მოღალატეები, გამცემები, მკვლელები, სადისტები, და სხვასხვა სჯურის ანტიპოდები? იმიტომ, რომ მათ არ ზრდიდნენ სწორად, არ ჩააგონებდნენ სიკეთეს, ღვთის სიყვარულს, , არ უღვიძებდნენ სიყვარულს, არ შველიდნენ საბედიწერო წუთებს და პერიოდებში, ყველას, ვისაც აღზრდა აკლია , აკლია ადამიანობაც“ (ა. გობრონიძე 2000: 303)

შ. ამონაშვილზე საუბრისას მინდა რამდენიმე ციტატა მოვიტანო მისი დარიგებებიდან მშობლებისადმი, რომლებშიც საოცარი უბრალოებითა და თან უღრმესი პედაგოგიურ- ფოლოსოფიური სიღრმითაა გადმოცემული ავტორის შეხედულებები სწავლებისა და განსაკუთრებით მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის შესახებ.

,, მასწავლებელმა, მშობელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეში სილამაზის გრძნობის განვითარებას.“

,, აღზარდე კეთილშობილი და დიდსულოვანი ადამიანი“

,, არ შეიძლება ბავშვის მოტყუება.“

,, არ ელაპარაკო უხეშად, არ დასცინო მას“

,, იყავი ყურადღებიანი მის მიმართ, დაინტერესეთ თქვენი საქმით, გაიგეთ მისი ხასიათი, ნიჭი და მისწარაფვებები.“

3. ზნეობრივი აღზრდის იდეა ი. გოგებაშვილის შემოქმედებაში.

აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე წერს: ,, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის

უაღრესად საინტერესო და შინაარსიან პერიოდს უეჭველად დიდი ხარვეზი ექნებოდა გოგებაშვილი რომ არ ყოფილიყო. ის თითქოს ამთლიანებს თავისი დროის აზროვნებას და საბოლოოდ აფორმებს ახალ ქართულ - პედაგოგიურ მეცნიერებას. იმ დროს არც გვეგულება მეორე პიროვნება, რომელიც ხსენებულ ისტორიულ მისიას უკეთესად შეასრულებდა, ვიდრე ეს გოგებაშვილის ორიგინალურმა ტალანტმა შეძლო. ერთნაირად ძლიერ პედაგოგირ თეორიასა და პრაქტიკაში, უზადო მეთოდისტი, ფსიქოლოგი, რეალისტი საბავშვო მწერალი, სწავლა-აღზრდის დინჯი ორგანიზატორი, მრავალმხრივ განათლებული საზოგადო მოღვაწე.“ (გ. ჯიბლაძე 1976 : 30) .

მართლაც, იაკობ გოგებაშვილის მოვლენა დიდი ბედნიერება იყო არა მარტო მეცნიერების ერთი დარგის პედაგოგიკისათვის, არამედ მთლიანად ერისათვის და თანაც იმ პერიოდში როცა ხალხსა და ქვეყანას სანთელივით სჭირდებოდა ნათელი გზის მედროშე და მებაირაღე.

ეს მისია იაკობმა და მისმა პლეადამ სამოციანელების სახით ბრწყინვალედ შესრულა, იკისრეს რა ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებლი მოძრაობის ლიდერობა. იაკობ გოგებაშვილს, როგორც საქართველოს ერუვნულ-განმათავი-სუფლებელი მოძრაობის პოპულარულ მოღვაწეს, უყვარს თავისი ხალხის ისტორიული წარსული, მაგრამ არ მისტირის მას. იაკობმა, ისევე როგორც დიდმა ილიამ ,, მყოფადისაკენ მოწოდებით უნდა შეუქმნას მომავალი ხალხს“ (გ. თავზიშვილი 1977: 302) .

მისთვის იდეალი ქვეყნის მომავალია, მისი მიზანი ახალი საქართველოა. ის ამის თაობაზე ხმამაღლა აცხადებდა: ,,უწინდელი საქართველო ჩვენში ყველას მიაჩნია სამუდამოდ წარსულ დროდა, რომლის დაბრუნება ისეთივე შეუძლებელია, როგორც

ჩავლილის წყლის უკუმოქცევა. ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენი პატრიოტების მოქმედებისა და ნატვრისა, მიქცეულ უნდა იქნას რა უკან,

არამედ წინ ევროპისაკენ. დასავლეთიდან უნდა სვას მან განათლება, მეცნიერება და გადმიტანოს საუკეთესო საზოგადოებრივი წყობა". (ი. გოგებაშვილი,1940: 114).

ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლებას იაკობი უდიდეს სახალხო და სახელმწფოებრივ საქმედ თვლიდა. ის აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდა თაობის მეცნიერულ აღზრდაზე არის დამოკიდებული ყოველი ერის ,,გამოკეთება" და წარმატება. ახალგაზრდობა ერის მომავალია, მაგრამ იმისათვის, რომ მან შეძლოს ერის ღირსეული მომავლის შექმნა, საჭიროა მისი აღზრდა და განათლება წინასწარ დასახული მიმართულებით, ამითვის იაკობ გოგებაშვლის საჭიროდ მიაჩნია აღზრდის სიცხადე და მისი შინაარსის გამართულობა.

აღზრდა -განათლების ზოგად მიზნად იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა ადამიანის მომზადება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მისი შეიარაღება იმ ცოდნით, რომელიც მას მისცემს ბუნების ძალათა გამოყენებისა და ცხოვრებაში გარკვევის უნარს. აღზრდა -განათლების ასეთი მიზანი, იაკობის აზრით უნდა გულისხმობდეს ბავშვის ,, სულის ჰარმონიულ განვითარებას, რაც შეადგენს იდეალს სწავლისა და აღზრდისას."(გ.თავზიშვილი 1977: 323)

იაკობ გოგებაშვილი მთელი ენერგიით, თავდაუზოგავად იბრძოდა ისეთი განათლების სისტემის შესაქმნელად, რომელიც ქვეყანას გამოუზრდიდა ახალი ტიპის ქართველს, რომელიც აღჭურვილი იქნება მაღალი ცოდნითა და მორალურ-ზნეობრივი პრინციპებით, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოლებს ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის. ახალი ტიპის ქართველი უნდა იყოს გამსჭვალული სამშობლოსა და ხალხის მგზნებარე სიყვარულით, მაღალი ჰუმანური იდეალებით, უმწიკვლო ზნეობრივი პრინციპებით, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულებით.

ახალი ტიპის ქართველები, --იაკობის თქმით --უნდა იყვნენ ,, ღირსეული ადამიანები ყოველ მხრით (უნდა) შეეძლოთ ახალი სახელმძღვანელო პრინციპები დაამყარონ ჩვენს ქვეყანაში, ცხოვრებაში, ახალი მიმართულება შეიტანონ ჩვენს

საზოგადოებრივ სკოლებში და ახალი ხანა დაუყენონ სამშობლოს“ (ი. გოგებაშვილი 1940:314)

იაკობ გოგებაშვილს ბავშვის ზნეობრივი აღზრდა გონებრივ აღზრდასთან ერთად მიაჩნია ერის ბედნიერი მომავლის წინაპირობად, ზნეობრივი აღზრდა კი ბავშვის განვითარების უმთავრეს მხარედ. ,,ბუნების კარის“ წინასიტყვაობაში ის აღნიშნავდა:

,,პატიოსნის, კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა. აი, რისთვის მივეცით ჩვენი წიგნის ყოველს განყოფილებაში დიდი ადგილი ეთიკურს, ალტრუისტულ ელემენტსა, აღმზრდელ შინაარსსა“ (გ. თავზიშვილი 1977: 335)

იაკობ გოგებაშვილი ხაზგასმით აღიშნავს, რომ თუ მეცნიერული ცოდნის შეძენა საგანმანათლებლო პროცესია და ინტელექტუალურ განვითარებას მოასწავებს, სამაგიეროდ ზნეობრივი ნორმების შემუშავება აღმრზრდელობით პროცესს წარმოადგენს. იაკობ გოგებაშვილი სწორედ აღმზრდელობითი ნაწარმოებების სწავლებაში ხედავდა ზნეობრივ განვითარებას, ეთიკური ნორმების შეგნებას. მართალია მან, როგორც დიდმა პედაგოგმა და აღმზრდელმა მშვენივრად იცოდა კავშირი ბავშვის განვითარების ამ აუცილებელ ორ ელემენტს შორის, მაგრამ აღზრდის ეს ორი მხარე მას იდენტურ ცნებებად არ მიაჩნდა და მათი განვითარებისათვის საერთო მასალის გამოყენების პარალელურად სხვადასხვა სპეციალურ ღონისძიებას მიმართავდა.

მთელ რიგ თავის წერილებში იაკობი მოითხოვდა სასკოლო მუშაობის გარდაქმნას იმ მიმართულებით, რომ ,, ჩვენი ძალები მოვახმაროთ ახალი თაობის აღზრდას კეთილი გულით და მოყვასთა მხურვალე სიყვარულით“. სკოლა, ოჯახი, მასწავლებელი არ უნდა კმაყოფილდებოდნენ მოლოდ მოსწავლის სწავლით, მისი განათლების მიღებით, მათ არ უნდა დაივიწყონ ის წმინდა მოვალეობა, რომ მოზარდს ცოდნასთან ერთად შეუქმნან ,, დიდებული გული“ და იმის შეგნება,

რომ ,, ყოველი წამი მათის სიცოცხლისა ეკუთვნის მოყვასთა, სამშობლოსა და კაცობრიობასა“ (ი. გოგებაშვილი 1955, ტ. IV გვ 274)

დაწყებითი განათლების მქონე ყმაწვილს, იაკობის აზრით, ჩვენ ვერ მოვთხოთ ცოდნის მხრივ იმაზე მეტს, რაც მან სკოლაში შეიძინა, მაგრამ ზნეობის მხრივ ის უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანთა საერთო ცხოვრების ნორმებს მაღალი ზრდილობითა და კეთილშობილური თვისებებით. ეს არ არის პარადოქსული დებულება და არც გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის გათიშვა, ეს ცალკ-ცალკე წარმოდგენას გულისხმობს. იაკობი გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ცოდნის შეძენის წყარო უმთავრესად სკოლაა, ხოლო ზნეობრივი აღზრდის, განვითარების წყაროდ გვევლინება ოჯახი, სკოლა, მასწავლებელი და ის გარემო, სოციუმი, სადაც მოსწავლეს უხდება სწავლა და განვითარება.

იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის ამტკიცებდა გონებრივი და ზნეობრივი განვითარების ერთიანობას, მათ ისეთ კავშირს, რომელიც ორივესათვის თანაბრად აუცილებელია. ის წერდა: ,, სწავლა, განათლება, ცოდნა ყველას და ყველგან უვითარდება გონებასთან, გულსაც, სინდისსაც, ნამუსიანობასაც, კაცთმოყვარეობასაც უძლიერებდა და ადამიანობა მასში მაღლა აჰყავდა“. (ი.გოგებაშვილი 1955;274).

ზნეობრივი აღზრდა იაკობის აზრით გულიხმობდა ნამდვილი ადამიანის ღირსებათა აღზრდას, ამ ღირსებათაგან კი პირველ ყოვლისა ასახელებს საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებას. საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება, იაკობის მიხედვით ნიშნავს ხალხის ინტერესების უანგარო სამსახურს, ,,მისი ტკივილების მოშუშებას, მისი სასიცოცხლო პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლას. საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება ავალდებულებს ადამიანს თავისი პირადი ინტერესები დაუქვემდებაროს და დაუმორჩილოს საზოგადოებრივ ინტერესებს, ,, საზოგადოების მარილს, ქვეყნის თვალს შეადგენენ ის პირნი, რომლებიც პიროვანი სიამოვნების მონანი კი არ არიან, არამედ მედგრად ემორჩილებიან თავის წმინდა მოვალეობას, მოვალება კი ხშირად, ძალიან ხშირად ითხოვს კაცისაგან არამც თუ უსიამოვნებას, ტანჯვის და წვალების გამოვლენას, არამედ თვით სიცოცხლის შეწირვასაც“. (ი. გოგებაშვილი ტ. 1955: 444).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებიდან ი. გოგებაშვილს გამოჰყავს პიროვნების ყველა მაღალი თვისება: ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, მეგობრობა, ინტერნაციონალიზმი, შრომისმოყვარეობა, სიმართლე, პატიოსნება, ზომიერება და სხვა სუფთა ადამიანური თვისებები.

ჰუმნიზმი

იაკობის აზრით, ჰუმანიზმი ადამიანის პირადი კულტურის საზომია, მისი მორალის მწვერვალია. ჰუმანურ აღზრდაში იაკობი გულისხმობს ნამდვილ ადამიანურ გრძნობათა შემუშავებას, პიროვნების თავისუფალ განვითარებას, მისი ნიჭის ყოველმხრივ გაშლას. მისი აზრით, განათლება, რომელიც მოკლებულია ჰუმანიზმის პრინციპს, არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ განათლებად, ისე როგორც, ჰუმანურ პრინციპებს მოკლებული ადამიანი ნამდვილ ადამიანად. ამ მოსაზრებათა საფუზველზე ის დაასკვნის, რომ ნამდვილი ადამიანის აღზრდა მოითხოვს მის ყოვემხრივ, ჰარმონიულ განვითარებას.

იაკობ გოგებაშვლი აღნიშნავს, რომ პედაგოგიური ნიჭი ვერ დაისადგურებს ვერც კერძო კაცში, ვერც ერში, გარეშე ნამდვილი ადამიანური გრძნობისა. ჰუმანიზმი მას მიაჩნია მოქალაქეობისა და ადამიანობის მტკიცე საფუძვლად. ,, სხვა საქმეა ჰუმანიზმის პრინციპი წერს იაკობი - მას შეიძლება ყოველთვის და ყველგან გაბედულად დავეყრდნოთ'' . (ი. გოგებაშვილი 1955: 448) .

რამდენადაც აღმზრდელი გადამწყვეტ როლს თამაშობს აღზრდის საქმეში, იმდენად იგი, არა მარტო პატივს უნდა სცემდეს ჰუმანიზმს, არამედ იგი, თვითონ უნდა იყოს ჰუმანისტი. გოგებაშვილი განმარტავს, რომ დიდი პედაგოგები იან ამოს კომენსკი, პესტალოცი, დისტერვეგი, უშინსკი---კაცთმოყვარეობის, ალტრუიზმის მნათობნი იყვნენ და ამან განაპირობა გამხდარიყვნენ ყველა დროის საუკეთესო აღმზრდელები.

მოზარდი თაობის ჰუმანური აღზრდის მიზნით, იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა ბავშვთა ,, რეალურ მიდრეკილებათა“ განვითარებას, მისი ბუნების

შესაფერისად და ქვეყნის მოთხოვნილებათა მიხედვით. ის მოითხოვდა ასკეტიზმისა და განდეგილობის ყოველი ფორმის აღმოფხვრას აღზრდის საქმეში, ბავშვის ყველა ჯანსაღ თვისებათა განვითარებას და ცხოვრების სინამდვილის სწორ ცოდნას.

იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა შეურიგებელ ბრძოლას ადამიანური მორალის დამამცირებელი ყოვეგვარი საქციელის გამოვლენის წინააღმდეგ, თავის სტატიებში, პუბლიცისტურ წერილებში ის სატიკად კიცხავდა კავკასიის სასწავლო ოლქისა და სასულიერო დანათლების უწყების ბიუროკრატ მოხელეთა მიერ მოსწავლე- ახალგაზრდობაში მათ მიერ დანერგილ ჯაშუშობას, გამცემლობას, დაცინვას, აბუჩად აგდებას, ფიზიკურ დასჯას და შეურაცხოფის სხვა ფაქტების გამოვლინებებს.

იაკობ გოგებაშვილი იმავე ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე მოითხოვდა ბავშვის პიროვნების თავისუფალ განვითარებას, მისი ,, ბუნების კარი“, ,, დედა ენა,“ ,, რუსკოე სლოვო“ სხვადასხვა ცოდნით მოსწავლეთა გონების გამდიდრებასთან ერთად უნერგავდნენ ჰუმანურ, ზნეობრივ პრინციპებს და მაშასადამე მოქმედებდნენ მათზე აღმზდელობითი სულისკვეთებით და მიმართულებით.

აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მნშვნელობაზე საერთოდ და კერძოდ ,,დედა ენის“ შესახებ წერდა:

,,დედა ენა“ იყო უშრეტი სალარო საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ხალხის უთვალავ თაობათა მიერ შემუშავებული სიბრძნისა, მაცნე და მოძღვარი ხალხის სულიერი სიმდიდრისა, უხვი წყარო ჭეშმარიტი მამულიშვილობისა, მართალი აზრისა პატიოსნებაზე, შრომასა და გარჯაზე, დედაბუნების სიკეთეზე, მადლიან დედაშვილობაზე, ადამიანთა შორის გულითად სიამტკბილობაზე და ხალხებს შორის ძმურ ურთიერთობასა და მშვიდობაზე“ (უ. ობოლაძე ,, იაკობ გოგებაშვილი ქართული სახალხო სკოლის ფუზემდებელი 1977 :97).

დედა ენა არა მხოლოდ წერა-კითხვას ასწავლიდა ბავშვებს და მოზარდებს, არამედ ყოვედღიური, ცოდნის თანდათანობითი, ზომიერი გართულების შედეგად, ბუნებრივად შეჰყავდა ახალგაზრდები ცოდნის უფრო მაღალ სფეროში,

ავითარებდა მათ გონებრივ-შემეცნებით ძალებს, მორალურ და ზნეობრივ შეხედულებებს, აყალიბებდა სამშობლოს ერთგულ პატრიოტებად და ნადვილ ჰუმანისტებად.

სამშობლოს მგზნებარე სიყვარული და პატრიოტული აღზრდა იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში ორგანულადაა დაკავშირებული მომავალი თაობის ზნეობრივ განვითარებასთან. ის, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მოითხოვდა ისეთი თაობის აღზრდას, რომელიც შეძლებდა საქართველოს კოლონიური უღლისაგან გათავისუფლებას, , რომელიც მისცემდა ქართველ ერს დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობას და ააღორძინებდა მას ეროვნული გზით, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად და კულტურულად.

კითხვაზე ვის ჰქვია პატრიოტი? გოგებაშვილი ასე პასუხობს:

,, მას ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად, დაუღალავად ებრძვის ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია, ვისაც მთლიანად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი რომელნიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მის უბედურობით და ვინც მზად არის ღიმილთ შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“ (ი.გოგებაშვილი 1940 :111)

ასე კლასიკურად განმარტავს იაკობი პატრიოტის დამახასიათებელ თვისებებს, იაკობის პატრიოტიზმის საგანი კი ახალი საქართველოა, მას სურს არა წარსულის შემობრუნება, არამედ არსებულის გარდაქმნა, ჯანსაღი მომავლის უზრუნველყოფა.

მამულის სიყვარული იაკობის მართებული მტკიცებით არ არის ბუნებით მონაცემი, თანდაყოლილი თვისება. ეს გრძნობა პატარაობიდნავე უნდა იწრთობოდეს ადამინაის გულში, ბავშვობიდანვე უნდა ეჩვეოდეს ადამიანი

სამსობლოს, მიწა-წყლისა და თავისი კულტურის, ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ყოველი ეროვნული საუნჯის სიყვარულს.

,, თუ ერს სურს იარსებოს ქვეყანაზე -- წერს იაკობი - იგი თვალისჩინივით უნდა იცავდეს ეროვნულს გონებას, გულსა და სულს, .. იცავდეს, ანვითარებდეს და აღორძინებდეს თავისი ქვეყნის ენასა, ეროვნულს განათლებასა, ეროვნულს ლიტერატურასა, თეატრსა, ეროვნულს კულტურასა და იღწვოდეს ყველა თავისი ეროვნულის უფლებების აღდგენისა და გაფართოებისათვის, რათა საპატიო ადგილი მოიპოვოს ერთა შორის და გახდეს თავისებური და მნიშვნელოვანი ნაწილი კაცობრიობისა“ (ი. გოგებაშვილი 1940: 112)

ის სრულიად მართებულად ფიქრობდა, რომ პატრიოტობა წარსულზე მოთქმითა და ტირილით კი არ შეიქმნება, არამედ მაღალი განათლებისა და კულტურის, მეცნიერული ცოდნის საუფუძველზე, ხალხის ინტერესების შეგნებაზე, მაღალ ჰუმანურ და ზნეობრივ იდეალებზე. ის აფრთხილებდა ქართულ საზოგადოებას, სკოლას, ოჯახს, რომ მეფის მოხელენი მოწადინებულნი არიან აღმოფხვრან ქართველებში სიყვარული მამულისადმი, დაგვავიწყონ ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული, წაგვართვას ენა, მოგვისპოს ეროვნული კულტურის ყველა მონაპოვარი.

ასევე სასტიკად ამათრახებდა იაკობი ე. წ. ,, ცრუ პატრიოტებს“ , რომლებიც უფრო საშიშნი იყვნენ თავიანთი ცრუ, მოჩვენებითი გრძნობებით და დამღუპველ ზეგავლენას ახდენდნენ ახალგაზრდების ფსიქოლოგიაზე, მათ სულისკვეთებაზე, უწამლა ეროვნულ და მორალურ შეგნებას. ეს ცრუ პატრიოტები აღნიშნავდა იაკობი, ლიტერატურაში ცხარ-ცხარე სიტყვებს ხარჯავენ მამულისშვილობაზედ და საქმე კი იმით გაათავეს, რომ თვითონაც უღალატეს ეროვნებას და თავიანთი სახლებიდანაც გამოაძევეს ქართული ენა. ასეთი ხალხი შენიღბულ მტრებად და უფრო საშიშ ხალხად მიაჩნდა იაკობს ქართული კულტურისათვის, ვიდრე პირდაპირი მტრები და მათ, როგორც ავგული დედინაცვლების გამოაშკარავებას ის თვლიდა ეროვნული ბრძოლისა და მამულის გადარჩენის ერთ-ერთ ძირეულ ამოცანად.

პატრიოტიზმი -- იაკობის აზრით-- უნდა ასულდგმულებდეს ჩვენს საზოგადოებას და განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდობას, ის უნდა იყოს ისე მხურვალე, როგორც ზათხულის მზე, მძლავრი, როგორც ქარიშხალი, ნოყიერი, როგორც დედამიწა და ენთოს ჩვენს გულში, როგორც პრიალა ცეცხლი. (ი.გოგებაშვილი 1940 : 112)

ამისათვის მას საჭიროდ მიაჩნდა სკოლასა და ოჯახს გადაეშალა ახალი თაობის წინაშე ქართველი ხალხის საამაყო წარსული და საიმედო მომავალი. სახელდობრ, გმირული თავდადება სამშობლოსათვის და მაღალი კულტურის ნიმუშები. იაკობი აღნიშნავდა, რომ ქართველობა, რომელმაც მრავალ საუკუნეთა მანძილზე გამოატარა თავისი თავი ცეცხლსა და ცეცხლის ალში, გმირულად დაიცვა თავისი ტერიტორია, კულტურა და ადამიანური ღირსებანი, ---შეიძლებს დაამსხვრიოს ,, ეხლანდელი ავადმყოფური რეჟიმი“ და ეროვნული აღორძინების იმედით უცქიროს მომავალს. (ი. გოგებაშვილი 1940:114)

სწორედ ასე ზრდიდა იაკობი თავისი დროის ახალ თაობას, სიამაყე წარსულისათვის, შეურიგებლობა აწმყოსადმი და რწმენა საიმედო მომავალისა. ასე ზრდიდა იაკობი თავის პედაგოგირი შეხედულებების ზეგავლენით, პირადი ცხოვრების მაგალითით და ზნეობრივი იდეალებით.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში აისახა ეპოქის ისეთ მწვავე და მტკივნეული პრობლემა, როგორიც იყო ხალხთა შორის ურთიერთობა, ერების და ეროვნებების თანაცხოვრების პრობლემატიკა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ადამიანის ზნეორივ განვითარებასთან. იაკობს, როგორც თავისი ერის დიდი სიყვარული და პატივისცემა მჭიდროდ ჰქონდა დაკავშირებული სხვა ერების ღირსებათა დაცვასთან, რასაც ინტერნაციონალური გრძნობა ეწოდებოდა, ხოლო თანამედრივე-დღევანდელი ტერმინოლოგიით მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლება და აღზრდა ჰქვია. ,,ძლიერი სიყვარული სამშობლოში ჰბადებს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას“ აღნიშნავდა იაკობი (ი. გოგებაშვილი 1955 ტ. V. გვ. 226)

აღნიშნული კონცეფციიდან გამომდინარე ის ყოველთვის მიუდგომლად აფასებდა ამა თუ იმ ერის დამსახურებას კაცობრიობისა და კულტურის წინაშე, სწორედ ამ კრიტერიუმით განსაზღვრავდა მის ადგილს ერებს შორის. როგორც პატრიოტობა, ესე ინტერნაციონალობა, იაკობის აზრით, გამომდინარეობს ადამიანისადმი ჰუმანური დამოკიდებულების გრძნობიდან. ის სამართლიანად ფიქრობს, რომ ადამიანის სიყვარულისა და პატივისცემის გარეშე არ შეიძლება სიყვარული და პატივისცემა არც თავისი ერისა და არც კაცობრიობისა. ,, ვინც გამსჭვალულია ადამიანისადმი სიყვარულით ის ამ კეთილშობილურ გრძნობას ახორციელებს პირველ ყოვლისა თავის სამშობლოსა და თვისტომთა მიმართ, როგორც კაცობრიობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც უფრო ახლოოსაა მასთან და მაშასადამე არის ჭეშმარიტი პატრიოტი, მაგრამ ამავე დროს ის სიყვარულითა და სამართლიანობით ეპყრობა სხვა ადამიანებსაც და ამგვარად ემსახურება საყოველთაო ძმობის მაღალი ცნების განხორციელებას.“ (ი. გოგებაშვილი 1955; 228)

იაკობს სწამდა , რომ ეროვნული შუღლი, გაუტანლობა, სიძულვილი, რომელსაც მეფის რუსეთის იმპერიული პოლიტიკა ახორციელებდა, მოისპობა და დამყარდება ხალხთა შორის სოლიდარობა, რომელშიც გამამწყვეტი სიტყვა კვლავ ცოდნას, მაღალ განათლებას და სუფთა ადამინურ გრძნობებს უნდა ეთამაშათ.

განსაკუთრებული სიმკაცრით იბრძოდა იაკობი პატარა და კულტურულად ჩამორჩენილი ერების ჩაგვრა -შეურაცხყოფის წინააღმდეგ. ის ებრძოდა მათი ენისა და ეროვნულ ღირსებათა დაცინვა- შევიწროებას, დამპყობელური ნაციონალ-ისტებისა და შოვინისტების მიერ. ყველაზე უფრო მკაფიოდ ამ ბრძოლამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ქართველი ერისა და ქართული ენის დაცვის საქმეში.

ადამიანის ზნეობრივი აღზრდის საქმეში, ადამიანის მორალური იერის განსაზღვრაში იაკობ გოგებაშვილის აზრით, განსაკუთრებული ადგილი შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას უჭირავს. მას არაერთხელ აქვს ყურადღება გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ პიროვნების უმაღლეს

მოქალაქეობრივ ღირსებას მისი ნაყოფიერი შრომა, შეადგენს, რომელიც ყველაზე ნათლად გამოაჩენს ადამიანის საზოგადოებრივი შეგნების ხარისხსს. საზოგადოებ-რივი სასარგებლო შრომა, გოგებაშვილის აზრით, პიროვნებას უქმნის მოღვაწეობის ფართო ასპარეზსს და წარმოადგენს მისი, როგორც კეთილშობილ-ების, ისე მატერიალური შეძლების საიმედო გარანტს.

მოზარდი თაობის შრომითი აღზრდა, როგორც პიროვნების მორალური განვითარების წინაპირობა, გოგებაშვილს მიაჩნდა ადამიანის სოციალური განვითარებისა და ფორმირების განუყრელ მომენტად, ოჯახისა და სკოლის უმთავრეს ამოცანად.

შრომითი აღზრდის პირველ არსებით ნაბიჯად იგი აღიარებდა შრომისმოყვარეობას და ამ გრძნობის აღზრდას უკავშირედა შრომითი ჩვევების შემუშავებას. ამით გოგებაშვილი შრომითი აღზრდის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდა თვით შრომას, ე.ი. აღსაზრდელთა ჩაბმას უშუალო, პრაქტიკულ შრომასა და საქმიანობაში. ამასთან ის აფრთხილებდა საზოგადოებას, რომ შრომა ახალგაზრდობისათვის უნდა ყოფილიყო მისაწვდომი, გააზრებული და ორგანულად დაკავშირებული სასწავლო- საგანმანათლებლო და აღმზრდელობით პროცესებთან.

იაკობ გოგებაშვილი მოუწოდებდა ახალგაზრდობას შეგნებული, მასობრივი და გეგმიანი შრომისაკენ. ის თანაბარ მნივნელობას ანიჭებდა ფიზიკურ და გონებრივ შრომას. მოითხოვდა ახალგაზრდებში შრომისმოყვარეობის გრძნობის აღზრდას, ჩააგონებდა მათ, რომ ცხოვრებისათვის მომზადება, პირველ რიგში ნიშნავდა შრომისადმი მომზადებას.

დიდი ქართველი პედაგოგი მოზარდი თაობის მორალური განვითარების საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საბავშვო ლიტერატურას, რომლის გარეშეც ბავშვისა და მოზარდის სრულყოფილი განვითარება შეუძლ-ებლად მიაჩნდა.

,, უმთავრესი და საუკეთესო ღონისძიება ენის შესწავლისათვის გახლავთ: ხალხის გონების ნაწარმოები, პოეზია და სიტყვაკაზმული პროზა, ერთის სიტყვით

ლიტერატურა. ლიტერატურა არის ერთადერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის.“ (გოგებაშვილი 1954 : 90)

აქედან გამომდინარე, მხატვრული ლიტერატურა ხალხის სულიერი საზრდოა, მისი იდეების, ოცნებებისა და მისწრაფებების გამომხატველია. ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებები კი ხალხის აღმზრდელი და მოძღვარი. ამიტომ ლიტერატურული ნაწარმოებები მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის საქმეში ფასდაუდებელ როლს ასრულებს, მას ერის მომავლისათვის დიდი მნშვნელობა აქვს.

იაკობი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ ისეთ ლიტერატულ ნაწარმ-ოებებეს აქცევდა, რომლებიც დიდ ზეგავლებას ახდენდნენ მოზარდის აღზრდაზე, მისი სულიერი სამყაროს ფორმირებაზე, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული აღმზრდელობითი ხასიათით. მოსწალეებზე დადებითი ზემოქმედების კუთხით. ასეთ მწერლად იაკობს პირველ რიგში დიდი ილია მიაჩნდა.

,, ყველა მის უკვდავ ქმნილებაში გაისმის მაღალნიჭიერ ქადაგება ეთიკისა, საქვეყნო ღვაწლისა, თავდადებულობისა, მადლისა, სიყვარულისა და ყველა ეს განხორციელებულა საოცარი სიტყვა-კაზმულობით“ (გოგებაშვილი 1954 : 215)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იაკობი მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის საქმეში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საბავშვო ლიტერატურას, როგორც მოზარდი თაობის განუყრელ სულიერ საზრდოს. მას მოზარდი თაობის სრულყოფილი სულიერი განვითარება ვერ წარმოედგინა როგორც მსოფლიო, ისე ეროვნული საბავშვო ლიტერატულის კეთილშობილური იდეების შეთვისებისა და გააზრების გარეშე.

,, საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა“.

(ვ. გაგუა თბილისი 1991 ;124)

დიდი პედაგოგი გვასწავლის, რომ ბავშვები თავიდანვე უნდა დავაინტერესოთ საბავშვო ლიტერატურით - ლექსებით. მოთხრობებით, იგავ-არაკებით, ზღაპრებით. ამით უნდა იღვიძებდნენ და საზრდოობდნენ მოზარდი თაობის ინტელექტუალური ძალები. ამიტომ აღზრდის ერთერთი მნიშვნელოვანი მოვალეობაა ადრე ბავშვობიდანვე საბავშვო ლიტერატურისადმი ინტერესის განვითარება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი ახალგაზრდობის სრულყოფილი განვითარების პერსპექტივაზე.

,, თუ თქვენს შვილს პატარაობიდანვე მარჯვედ დაწერილნი საბავშო ნაწარმოებნი მიიზიდავენ თავისკენ, აგრძნობინებენ სიამოვნებას, გულს საამურად უღელავენ, გონებას უვარჯიშებენ და კითხვის მოთხოვნილებას უღვიძებენ და უმტკიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებათ ყრმა, რომელიც დიდობაშიც გამოიჩენს დაუღალავს გონებით მოძრაობას, რომლისთვისაც ჭკუის მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნების კითხვა, აზროვნება, მსჯელობა იქნება ისეთივე მოუცილებელი ყოველდღიური საჭიროება, როგორიც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის. მაგრამ თუ თქვენი შვილი მოკლებულია ხარისხიანს საკითხავ ნაწარმოებსა, თუ თქვენს სამშობლო ლიტერატურაში საყმაწვილი განყოფილება ცარიელია, თქვენს ყრმას გონების მადა არ გაეხსნება... და იგი გამოვა იმითანა გულგრილი არსება, რომელიც ბევრი არაფრით განსხვავდება პირუტყვისაგან“ (ვ. გაგუა 1991; 125)

იაკობის აზრით განსაკუთრებულად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიულ თემებზე შექმნილ ნაწარმოებებს, რომლებიც მხატვრულ ფორმაში გადმოგვცემენ ხალხის გმირულ წარსულს, მის თავდადებულ ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ისტორიული ნაწარმოებები არა მარტო ცოდნას აძლევენ ახალგაზრდობას, არამედ ზრდიან კიდეც მხურვალე მამულიშვილებად და უვითარებენ მაღალზნეობრივ იდეალებს.

იაკობი წერდა: ,, ისტორიულს მოთხრობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვის აღზრდაში. საუკეთესო მამულიშვილების მხურვალე სიყვარული თავის ქვეყნისა,

თავდადება მამულის ბედნიერებისათვის, უპირველეს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდი თაობის შორის მაღალი ზნის პრინციპებისა“ (ვ. გაგუა 1991:125)

იაკობ გოგებაშვილმა თავის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში დიდი ყურადღება დაუთმო მასწავლებლის როლისა და დანიშნულების დასაბუთებას მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქმეში. როდესაც იგი საუბრობს მასწავლებლის ფუნქციაზე და საზოგადოებრივ დანიშნულებაზე, მხედველობაში ჰქონდა თავისი ხალხისა და ქვეყნის ერთგული სამსახური, ფართო განათლებით და მაღალპიროვნული თვისებებით, რომლებსაც ცხოვრების აზრად ჰქონდათ გადაქცეული ხალხის სამსახური, ბრძოლა ქვეყნის კულტურისა და განათლებისათვის, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მამულიშვლების აღზრდა.

გამომდინარეობს მკაფიო დასკვნა - ცოდნა თავისთავდ დიდი სიმდიდრეა, მაგრამ ის სასარგებლო ნაყოფს მხოლოდ მაშინ მოიტანს, თუ ცხოვრების გარდაქმნების ამოცანებს მკვიდრად დაუკავშირდება და მის ჭეშმარიტ სამსახურში ჩადგება. ცოდნა ლამპარივით უნდა უძღოდეს წინ ხალხს მათს ყოველდღიურ სამიანობაში და რომ ეს განხორციელდეს, ადამიანები უნდა ამაღლდნენ ცოდნის დონემდე, ხოლო ცოდნა ქმედით ძალად უნდა აქციონ. ამიტომ გოგებაშვილი მიუთითებდა, რომ ვიწრო მნიშვნელობით ცოდნის დონე განათლების სფეროს განეკუთვნება, ცოდნის ქმედით ძალად გადაქცევა კი - აღზრდის სფეროს. ამიტომ სკოლაში, სწავლების პროცესში ის ორი მძლავრი ტოტი, ერთი დედამცენარისა მკვიდრად უნდა შეეზარდოს ერთმანეთს. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება აღიზარდოს ქვეყნისათვის სასარგებლო, გონებით ძლიერი და ზნეობით სპეტაკი ადამიანი, ადამიანი მოქალაქე, ეს საუკეთესოდ ჰქონდა შეგნებული ი.გოგებაშვილს და მისი, როგორც პედაგოგის უმთავრესი საზრუნავი იყო ამ დებულების ხორცშესხმა.

როგორც დიდი მოძღვარი აღნიშნავდა ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანი მრავალი ამაღლებული ზნეობრივი თვისების განსახიერებას უნდა წარმოა-

დგენდეს. ამ თვისებების აღზრდა-ჩამოყალიბება რთულზე- რთული ხანგძლივი პროცესია, რადგან ადამიანური ბუნება, მისი ზნეობა, ხასიათი, უამრავი , ერთი შეხედვით წვრილმანი, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სულიერი ძაფების ერთმანეთთან შეზავებული მთლიანობაა. და, მაინც ჭემარიტი ადამიანი შეიძლება მხოლოდ ის იყოს ვისაც შეუძლია თავისი ცოდნა-გამოცდილება მოიხმაროს და გამოიყენოს საზოგადაოების საკეთილდღეოდ, მოძმეთა დასახმ-არებლად, მამულის ასაყვავებლად, დავრდომილის სანუგეშებლად, ქვეყნის უკეთესი მერმისის ასაშენებლად.

ამრიგად, იაკობ გოგებაშვილი ყოველმხრივ განვითარებულ ადამინად თვლიდა მაღალზნეობრივი იდეალებით, თვისებებით აღჭურვილ ადამიანს. იაკობის ყველა სახელმძღვანელო თუ საკითხავი წიგნი, მის მიერ დაწერილი ყველა მოთხრობა და სტატია პიროვნების ჰარმონიული განვითარების მიზანს ემსახურებოდა. მას კარგად ესმოდა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების სისტემაში ზნეობრივი აღზრდის ადგილი და მნიშვნელობა. მისი აზრით, პატიოსანი, კეთილშობილი გრძნობებით მოზარდი თაობის აღზრდა კიდევ უფრო ძვირფასი და საჭიროა, ვიდრე გონების დამძიმება სხვადასხვა უსარგებლო ცოდნით. ამიტომ სავსებით სამართლიანად, იაკობი სკოლისა და მასწავლებლის ძირითად მოვალეობად იაკობი თვლიდა მოზარდ თაობაში აღეზარდა გამჭრიახი ჭკუა-გონება, მტკიცე ხასიათი, მაღალი მორალურ-ეთიკური პრინციპები.

ზემოთ აღნიშნულის საფუზველზე შეიძლება მოკლედ ასე შევაჯამოთ მისი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე:

გოგებაშვილმა შექმნა მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული ახალი ქართული პედაგოგიკა. კრიტიკულად გადაამუშავა მოწინავე პედაგოგიური სისტემები და არც ერთ მათგანს იგი ბრმად არ გაჰყოლია.

სწავლა-აღზრდის თეორია მჭიდროდ დაუკავშირა პედაგოგიურ პრაქტიკას, როგორც ამ დარგში ჭეშმარიტების კრიტერიუმს.

შექმნა სრულიად ახალი, უნიკალური სახელმძღვანელოები, რომლებზედაც იზრდებოდნენ და იზრდებიან მომავალი თაობები.

ჩამოაყალიბა პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონული განვითარების იდეა და ის მჭიდროდ დაუკავშირა ეროვნულ იდეალებსა და მსოფლმხედველობას.

შექმნა თვისებრივად ახალი, ორიგინალური მიდგომა მომავალი თაობის ზნეობრივი გავითარების შესახებ.

მომარდთა ზნეობრივი განვითარების კონცეფცია მჭიდროდ დაუკავშირა რეალური. პრაქტიკულ საქმინობის მოთხოვნას.

ზნეორივ აღზრდაში გააერთიანა სუფთა ადამიანური თვისებები - ერთგულება, პატიოსნება, სამშობლოს სიყვარული, სოლიდარობა, შრომისადმი შეგნებული, გააზრებული დამოკიდებულება, ალალმართლობა, ...

თერგდალეულებთან ერთად აღმართა ბრძოლის დროშა დედაენაზე სწავლებისათვის, როგორც პიროვნების მორალური განვითარების აუცილებელი პირობა.

მეცნიერულად დაამუშავა ქართული გრამატიკისა და მისი ეფექტური სწავლების საკითხები, რაც მჭიდროდ დაუკავშირა ლიტერატურის, საბავშვო მწერლობის განვითარებას. შექმნა პედაგოგიურად გამართული საბავშვო მოთხრობების მთელი ციკლი.

თერგდალეულებთან ერთად გააფართოვა და გააღრმავა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერი და სულისჩამდგმელი თვითონვე იყო.

5. ზნეობრივი აღზრდის ძირითადი გზები და საშუალებები

მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდა ორგანულადაა დაკავშირებული აღზრდის საერთო მიზნებთან და ამოცანებთან, რომლის ძირითადი მიზანია ყოველმხრივ ჰარმონიულად, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდა. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მორალურ განვითარებას.

მოზარდი თაობის მორალურ განვითარებაზე ისთი ფაქტორები ახდენს ზეგავლენას, როგორიცაა მოსწავლის ზოგადი კოგნიტური განვითარება, ახსნა-დასაბუთება, მორალურ საკითხებზე მსჯელობა, მორალური დილემები, მოსწავლეთა თვითშეგნება.

მოსწავლეებს უდა დავეხმაროთ სწორად გაარკვიონ რომელია მორალურად გამართლებული საქციელი და რომელი არა, დავეხმაროთ მათი მოსაზრებების დასაბუთებაში. ამისათვის აუცილებელია გააზრებული მსჯელობა ისეთი მორალური ნორმებისა და ქცევების შესახებ, როგორიცაა თანასწორუფლებიანობა, სამართლიანობა, სინდისი, პატიოსნება, ადამიანის უფლებები და მოვალეობები.

ასეთი იდეალების გააზრება -გაცნობიერება გარკვეული დონის კოგნიტურ განათლებას მოითხოვს. შესაბამისად, მორალური განვითარება გარკვეულწილად დამოკიდებულია კოგნიტურ განვითარებაზე, თუმცა კოგნიტური განვითარება არ გვაძლევს მოსწავლის მორალური განვითარების გარანტიას, რადგან მოსწავლეს შესაძლებელია შეეძლოს აკადემიურად აზროვნება მაღალ საფეხურზე, მაგრამ იმყოფებოდეს მორალური განვითარების შეუსაბამო დონეზე.

ამიტომ სამეცნირო ლიტერატურაში სავსებით სამართლიანადაა მიღებული და აღიარებული, რომ მოზარდი თაობის მორალური განვითარება წინ მიიწევს, როცა ისინი დაფიქრდებიან იმაზე, თუ რა ტკივილი და ზიანი მიაყენეს მათ სხვებს, როგორ აწყენინეს მათ თავიანთი გაუთვალისწინებელი და გაუცნობიერებელი საქციელით.

ამიტომ საკუთარი საქციელის სწორად დანახვასა და შეფასებაში მოსწავლეს ეხმარება ინდუქციის მეთოდი, საკუთარი ქვევის შეფასების ობიექტური

თვითანალიზი. ინდუქცია, მოსწავლის მორალური განვითარების მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, რომელიც მის ყურადრებას სხვა ადამიანის პოზიციებზე ამახვილებს და მოიცავს იმის ახსნასა და დასაბუთებას, რომელი საქციელია ადმიანისათვის მორალურად მიუღებელი და გაუმართლებელი.

ინდუქცია ფოკუსს აკეთებს დაზარალებულზე: ის ბავშვებს ეხმარება, დაფიქრდნენ სხვების წყენაზე და ტკივილზე, გააცნობიერონ, რომ ამის მიზეზი თვითონ არიან. ამიტომ ინდუქციის მეთოდის რეგულარული გამოყენება ხელს უწყობს ბავშვებში თანაგრძნობის, გაგებისა და ალტრუიზმის განვითარებას. ამ მეთოდის სარგებელი განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ ის უმტკივნეულოდ ეხმარება მოზარდებს მორალური შეგნების ჩამოყალიბებაში.

პედაგოგიურ მეცნიერებაში ბავშვთა მორალური განვითარების ხელშემწყობ მეთოდად მიჩნეულია მორალური საკითხები და დილემები. ბავშვთა მორალური განვითარება წინ მიიწევს, როცა ისინი ისეთი მორალური დილემის წინაშე აღმოჩნდებიან, რომელთა ადეკვატურად გადაჭრა მათ არ შეუძლიათ. ამისათვის მათ უნდა ავუხსნათ და დავუსაბუთოთ, რატომ არის ზოგიერთი საქციელი მიუღებელი, დავეხმაროთ მოსწავლეებს ფატები და მოვლენები დაინახონ და შეაფასონ განსხვავებილი კუთხით, განსხვებულ ჭრილში სხვა ადამიანის პოზიციიდან, რითაც ისინი იგრძნობენ პასუხისმგებლობას, შეაფასებენ საკუთარ ანტიზნეობრივ და ანტისაზოგადოებივ საქციელს.

ბავშვები მორალურად გამართლებულ ქცევებს მაშინ ამჟღავნებენ, როცა მათ სჯერათ, რომ რელურად შეუძლიათ სხავა ადამიანებს დაეხმარონ. ბევრი ახალგაზრდა იწყებს მორალური პინციპებისა და ღირებულებების საკუთარი პიროვნების ცხოვრებაში ინტეგრირებას. ეს დამიანები თავიანთ თავს ხედავენ, როგორც მზრუნველ და ზნეობრივ პიროვნებებს, რომელთათვისაც სხვა ადამიანების უფლებები და კეთილდღეობა მნიშვნელოვანია. მათი ალტრუიზმი და თანაგრძნობა არა მარტო მათ მეგობრობაზე და ნაცნობ ადამიანებზე, არამედ ზოგადად, საზოგადოებაზე ვრცელდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბავშვთა მორალურ განვითარებაზე დადებითად მოქმედებს მოსწავლის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება და გაცნობიერება, ეს ეხმარება მას თვად შეაფასოს საკუთარი საქციელის ანტისაზოგადოებრივი და არაზნეობრივი ხასიათი. (როგორ შეაწუხე შენ შენი ხმაურით სხვა ადამიანები), ძალიან ეფექტურია ზნეობრივ თემებზე საჯარო ლექციების წაკითხვა ცნობილი პიროვნებების მიერ, მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ნახვა და დიკუსიის გამართვა ფილმის შთაბეჭდილებებზე, ცნობილი ისტორიული პირების შესახებ საუბრები და დებატები.

პედაგოგიკის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ მოსწავლეებს უნდა მივცეთ მორალური საქციელის ბევრი მაგალითი. ბავშვები და მოზარდები ზნეობრივ და სოციალურ საქციელს მაშინ უფრო ავლენენ, როცა ისინი მორალური საქციელის მაგალითს სხვა ადამიანებისგან (მათ შორის, მასწავლებლებისგან) ხედავენ. მაგალითად, როცა ბავშვები ხედავენ, რომ მათი თანატოლები და უფროსები სულგრძელობას და თანაგრძნობას იჩენენ სხვა ადამიანებისადმი, ისინიც, შესაბამისად, ასე იქცევიან. მორალური საქციელის მაგალითები, აგრეთვე, შეიძლება ლიტერატურიდან, ისტორიიდან და თანამედროვე ცხოვრებიდან მოვუტანოთ მოზარდებს.

მორალური საკითხები და დილემების პრობლემების განხილვა პერიოდილად უნდა ხდებოდეს საკლასო დისკუსიებში. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ახსნან და დაასაბუთონ თავიანთი მორალური შეხედულებები.

აკადემიური მასალის განხილვის დროს ხშირად თავს იჩენს სოციალური და მორალური დილემები. ასეთ დილემებს ყოველთვის როდი აქვს ნათლად განსაზ-ღვრული სწორი და არასწორი პასუხები. მასწავლებლებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა დისკუსიებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით სწორ პასუხებამდე მიიყვანონ მოსწავლეები, მნიშველოვანია საკლასო ოთახში სანდო და უსაფრთხო გარემოს შექმნა,რათა მოსწავლეებმა თავიანთი მოსაზრებების გამოხატვა გაკიცხვისა და შერცხვენის, შიშის გარეშე შეძლონ. მასწავლებლები უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს, დაინახონ დილემის ყველა ასპექტი,მათ შორის, სხვადასხვა ადამიანის

მოთხოვნები და შეხედულებები. და ბოლოს, მასწავლებლებმა უნდა გაამხნეონ ბავშვები, დასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები და მორალური პრინციპები.

საამისოდ საჭიროა აქტიურად ჩავრთოთ მოსწავლეები ისეთ პროექტებში, რომლებიც საზოგადოებისადმი სამსახურს მოითხოვს. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას და მათ საზოგადოებრივ სამსახურში ჩართვას.

მოსწავლეებს შეუძლიათ დაბალი კლსის მოსწავლეები ამეცადინონ; უფროსებს და მოხუცებს დაეხმარონ; სავადმყოფოში ან საბავშვო ბაღში იმუშაონ; ქუჩები, პარკები გაწმინდონ და მოაწესრიგონ; ადგილობრივ პარკში სათამაშო მოედანი მოაწყონ; ბიბლიოთეკაში,საბავშვო ბაღში ან ბავშთა სახლში ბავშვებს წიგნები წაუკითხონ და ა.შ.

მოსწავლეები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი მსგავს საქმიანობებში, უფრო ექსტრავაგანტული და თავდაჯერებულები არიან; უფრო კარგად იცნობენ საკუთარ თავს; უფრო მოტივირებულები ხდებიან და უფრო მაღალ აკადემიურ წარმატებასაც აღწევენ. ისინი სწავლობენ, რომ მათ აქვთ იმის უნარი და პასუხისმგებლობა, რომ სხვა ადამიანებს დაეხმარონ და მათი ქვეყანა და ზოგადად, მსოფლიო უკეთესი გახადონ. ეს ყველაფერი მოსწავლებს ეხმარება, რომ ზნეობრივ და მზრუნველ პიროვნებებად და მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.

(სწავლებისა და განვითარების თეორიები 2008:185)

ამრიგად, ზომოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა მორალურ-ზნეობრივი განვითარების ხელშესაწყობად შეიძლება შემდეგი რეკომენდაციებით ხელმძღვანელობა:

საკლასო ოთახში მასწავლებელმა უნდა შექმნას წამახალისებელი, სამართლიანი, მორალური განვითარებისათვის თავისუფალი სასწავლო გარემო.

მასწავლებელი მოსწავლეებს უნდა დაეხმაროს მორალური დილემების განხილვაში და ადეკვატური დასკვნების გაკეთებაში.

მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვოს დაასაბუთონ მორალურ თემებზე საკუთარი შეხედულებები, გაცვალონ როლები და იმსჯელონ ახლი პოზიციიდან.

მასწავლებელი მოსწავლეებს უნდა ეხმარებოდეს პიროვნული ღირებულ-ებებისა და ფასეულობების ჩამოყალიბებაში.

მასწავლებლებლება ხშირად უნდა ჩაატარონ დისკუსიები, კითხა- პასუხის საღამოები მსჯელობისა და დასაბუთების უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად.

სისტემატიურად გამოიყენონ მასწავლებლება შინაგანი და გარეგანი განმამ-ტკიცებელი მოტივატორები მოსწავლეთა სანიმუშო ქცევების განმტკიცების მიზნით.

დასკვნები:

1. საზოგადოების მომავალი განათლებული, კარგად განვითარებული უნარ-ჩვევების მქონე თაობის აღზრდაშია, საზოგადოების ღირებულებები კი დროთა განმავლობაში იცვლება, ამის კვალობაზე იცვლება აღზრდის სისტემები და მისი მოთხოვნები.

2.აღზრდა, როგორც სოციალური მოვლენა, წარმოიშვა ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დროს, რაც ვლინდებოდა შრომის განაწილებისა და ემპირიული ცოდნის გაფართოების კვალობაზე. ამ ეტაპზე საზოგადოების განვითარების ინიციატივა კულტურულ-სამეურნეო გამოცდილების გადაცემას წარმოადგენდა.

3. სწავლების თეორიისა და აღზრდის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ანტიკური - ბერძნულ-რომაული ეპოქა. რომლის დროსაც აღზრდის ორი სკოლა- ორი მოდელი არსებობდა: სპარტული- ორიენტირებული ადამიანის საზოგადოებრივ სამხედრო-ფიზიკურ აღზრდაზე და ათენური - ორიენტირებული ადამიანის ყოველმხრივ და პიროვნულ განვთარებაზე, ჩნდება პირველი პედაგოგიური იდეალი- ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების იდეალი.

4. ჰუმანიზმის ანუ რენესანსის ეპოქა ქადაგებდა აღზრდის მეთოდების ბავშვის ბუნებასთან შესაბამისობის აუცილებლობას, ყურადღების ცენტრში აყენებდა ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდას, მდიდარი

კულტურის, დიდი ზნეობრივი ღირებულებების მატარებელი ადამინის აღზრდას.

5. რეფორმაციამ თავისი დაღი დაასვა აღზრდის სისტემას და ყურადღების ცენტრში დააყენა ადამიანის აღზრდა, რომელიც თავისთავს საზოგადოების ინტერესებს დაუქვემდებარებდა.

6. განმანათლებლობის ეპოქა იზიარებს პიროვნების ყოველმხრივ განვითარების იდეას და მიაჩნდათ, რომ სწავლა-აღზრდა შეხამებული უნდა ყოფილიყო მოზარდის ბუნებრივ თვისებებსა და უნარ-ჩვევებთან - გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის ამოცანებთან.

7. სწავლა-აღზრდის სისტემა საქართველოში იმავე მიმართულებით და ტენდენციებით ვითარდებოდა, როგორც ცივილიზაციის უძველეს ქვეყნებში ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დრო ჩნდება აღმრზდელობითი სისტემის პირველი ჩანასახები რასაც ადასტურებს უძველესი მითები და ლეგენდები.

8. საქართველოში უძველეს პერიოდში არსებობდა სწავლა აღზრდის დაწესებულებები იმავე სისტემითა და პროგრამით, როგორც ეს იყო დასავლეთ ევროპის უმაღლეს აკადემიურ დაწესებულებებში.

9. სწავლა-აღრზდის სისტემას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარის ეროვნულ განმათავისუფლების მოძრაობის ლიდერთა მდიდარ პოეტურ და პედაგოგიურ მემკვიდრეობაში.

10. სწავლა-აღრზდის სისტემა ცივილიზაციის განვითარების ყველა ეტაპზე ორიენტირებული იყო პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაზე, რომელმაც ყველაზე სრულყოფილი სახე მიიღო კლასიკოს პედაგოგთა შემოქმედებაში.

11. კლასიკოს პედაგოგთა შემოქმედებაში ცალ-ცალკე განიხილება პიროვნების ყოველმხვრივი განვითარების ასპექტები, როგორიცაა გონებრივი, ზნეობრივი, ესთეთიკური, ფიზიკური და შრომითი აღზრდის მიმართულებები.

12. XIX საუკუნის დასაწყისში ქართველმა ერმა დაკარგა დამოუკიდებლობა. რუსეთის იმპერია შეეცადა ქართველი ერის ცნობიერების მოსპობას, ამ მოვლენის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა, რომლებმაც ფასადაუდებელი როლი შეასრულეს ეროვნული ცნობიერების არა მხოლოდ შენაჩუნების, არამედ ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ეს ფენომენი, რომლის საფუძველი დაუღალავი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, ახალი სკოლების გახსნა და დედა ენაზე შექმნილი სახელძღვანელოები იყო.

13. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია მოზარდი თაობის აღზრდა მორალურ-ზნეობრივი გრძნობით, როგორც მაღალჰუმანური, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით, გულანთებული მამულიშვილების აღზრდა, რომელიც პრაქტიკული საქმიანობით, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით დაადასტრებს მაღალ ზნეობრივ იდეალებს.

14. განსაკუთრებული ყურადღება დათმობილია ორი დიდი ქართველი მამულიშვილის ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის დამსახურებაზე ერისა და მოზარდი თაობის წინაშე, რომელთა იდეები დღესაც ისეთვე აქტუალობას ინარჩუნებს, როგორიც მათ შექმნის დროს ჰქონდათ.

15. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მორალური აღზრდის თანამედროვე მიდგომებზე და შეხედულებებზე, ნაჩვენებია ზნეობრივი აღზრდის გზები და საშუალები , გაკეთებულია გარკვეული დასკვნები და განზოგადება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი , ,, საგანძური“ , თბილისი, ,, განათლება“ 1982

2 . ი. გოგებაშვილი , რჩეული ნაწერები, ტ. 2. თბილისი, 1940

3. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად. თბილისი, 1990

4. ი. გოგებაშვილი , თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი , ტ. V, 1955

5. ,, პედაგოგიკა“ ნ. ვასაძის რედაქციით , თბილისი 2004

6. ნ. ბასილაძე , ქართული პედაგოგიკის ისტორია, ბათუმი, 2013

7. ნ. ბასილაძე ,,ჰუმანიზმის აღზრდის პრობლემები ვ. სუხომლინსკის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში, ბათუმი, 2018

8. ბოცვაძე ზ., იაკობ გოგებაშვილი, თბ., ,,განათლება'' , 1991,

9. ალ.გობრონიძე ,, პედაგოგიკა'' ბათუმი 2000.

10. ალ. გობრონიძე ,, ზნეობა'' ბათუმი 2001.

11. განვითარებისა და სწავლის თეორიები 2008.

12. მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროგრამა ,, დემოკრატიული მოქალაქების სწავლება'' თბ. 2012.

13. შ. ნუცუბიძე ,, რჩეული'' თბილისი 1956.

14. გ. თავზიშვილი ი, გოგებაშვილი ,,ნაკადული" თბილისი 1960.

15. გ. თავზიშვილი ,,რჩეული პედაგოგიური თხზულებანი" ტომი II განათლება თბილისი 1977.

16. ი. ჭავჭავაძე თხზულებანი ტომი *III* 1938.

17. მ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები XIX საუკუნის ქრთული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან თბილისი 1959.

18. ვ. წულუკიძე ,,პირველი ქათული სკოლა აჭარაში'' საბჭოთა აჭარა 1982.

19. ი. ჭავჭავძე რჩ. ნაწერები ხუთ ტომად ტ. IV თბილისი 1987.

20. ი. ბიბილეიშვილი ,, პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები'' შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი 2011.

21. რ. ქობულაძე ,, ფიზიკური აღზრდა'' ქუთაისი 2003.

22. რ. ბალანჩივაძე ვ. ასათიანი ,, პედაგოგიკის საფუძვლები" 1997.

23. ს. დანელია ,,ნარკვები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში" თბილისი 1978.

24. უ. ობოლაძე ,,იაკობ გოგებაშვილი ქართული სახალხო სკოლის ფუძენდებელი" განათლება თბილისი 1977.

25. ეფექტიანი სწავლება თბილისი 2010.

26. მ. მელიქიშვილი ,,მორალური განვითარების თეორია '' თბილისი 2012.

27. გ. ჯიბლაძე ,, იაკობ გოგებაშვილი ახალი ქართული პედაგოგიკის მამა ოდა ქართული დედა ენისა" თბილისი 1976.